

საგაზეთო

საგაზეთო
საქართველო

საორბულო გავითი

სუთუბათი 26 აპრილი 2001 №74 (1347)

ფასი 50 თეთრი

გალა კაჯი



პირუტყვებში
გაზრდილი
დიდი კაცი

ჩემი სამეოფი
უკვე ვიხსუბე!



ირაკლი
აბუსერიძე



როგორ შეატყვევინა
აბუსერიძემ კომისარს
გადაწყვეტილება

თურქის აპრული



ჰალილ მუთლუმ
მეცხრამეტე მსოფლიოს
რეკორდი დაამყარა



სლოვენელებთან მატჩისას მადლიერმა დანიელებმა პიტერ შმახელს თითქმის ნატურალური ზომის ფოტოპორტრეტი უსახსოვრეს

REUTERS კომენტარებიდან

პეტრე დიდი ტახტიდან გადადგა

კობენპაგენის „ბარკენზე“ შეკრებილი 32 500 გულშემატკივარი მატჩის წმ-ე წუთზე ფეხზეც წამოუდგა და დიდი თვალით შეაგება შეცვლილ და გასახდელისკენ მიმავალ დანიელთა შეკარეს...

გუშინ დანიის ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო შეკარემ, 1992 წელს ევროპის ჩემპიონობის ერთ-ერთმა „არქიტექტორმა“ პიტერ შმახელმა უკანასკნელად ითამაშა ეროვნულ გუნდში და 129 მატჩით დაასრულა საწარმოო კარიერა.

„ჩინებული გამოსათხოვარი მატჩი გამოდგა, საწყენი იქნებოდა, რომ წავგავო“ — თქვა შმახელმა ნამატჩევს. თანაგუნდელებმა ავი არც გააწმიდეს — სლოვენელებს ამხანაგურად ვამოუგეს.

გუშინ გამართულ ამხანაგურ და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში სხვათა ბევრი მოხდა საყურადღებო. უპირველესად საქართველოს ნაკრების თანაგუნდელებზე ვთქვათ: იტალიამ ვინჩენცო მონტელას კიწილა გოლით სამხრეთ აფრიკა დაამარცხა. რუმინეთმა და უნგრეთმა კი შინ ნულოვანი ფრე იმპარეს სლოვაკეთთან და ფინეთთან. საფრანგეთ — პორტუგალიის შეხვედრას ამხანაგურისა არაფერი ეცხო: ფრანგებმა თონი უპასუხო გოლით შეარცხენეს ლუიშ ფიგუ და მისი თანაგუნდელები.

თბილეთ მეორე გვერდი



საფრანგეთი — პორტუგალია 4:1 ეს რა გვიჩვენებს ფრანგებმა! ლუიშ ფიგუ ჰერმეტი კი გაცივრებულა

REUTERS პარიზიდან

ამხანაგური მატჩები

მულაფრა 01 მსტონით

სტეფანია (პრენია 69), კონტრა, იენი, ფილიპესკუ, კოდრი (გაბაკა 46), რადი, როსუ (მუნტიანუ 46), დ. მუნტიანუ (მარია 71), მოლოდინი (მ. ნიკულაე 46), სტილია (სერბანი 69), განია (მიმალა 80)

სტეფანია 22 საბარძანით

01, 02 ალექსანდრის (38 50), 12 ვლადიმი (67), 22 რაბაი (90) სტეფანია: პედროსი, ფიგუერა (სერბული 85), იანნი (საბოლკა 55), ტომპო, ტოდორი, სიმონი (გრანინი 73), მილიცა (შუკრი 61), ნ. კოვაჩი (ბისკანი 46), ვლადიმი, ვუგინი, რაბაი

პეტიტა 02 შვიდით

01, 02 ა. სვენსონი (62, 79) შვიდით: პასკალი (შტილი 46), ზელდერი, კერტინი (მანინი 46), მადარელი, ცვისიტი (ვება 46), ფოგელი, ლომბარდო, ვიკი (ბიულმანი 46), ფრი (რიე 69), ლინდერი (როტა 72), ტურე

პოლონეთი 4 შოტლანდია

10 კალუნი (50), 11 ბუთი (693) პოლონეთი: დუდუკა, კლასი, ზილინსკი (კალუნი 46), მისალ ფელაკოვი (კრინოვიევი 46), ვალდონი, პიტილი, კოზმინსკი, ივანი, კრივოლოვინი (კრინოვიევი 74), ცვეტუბი (სევერინსკი 68), მარინ ფელაკოვი (მაიკელი 62)

ფინეთი 3:0 სლოვენია

10 გრონკვიკი (61), 20 ტომასონი (703), 30 სანი (82) ფინეთი: შიამელი (კიარვი 65), ტოფტინი (ა. ნილსენი 68), პერნიკსენი, ლაურსენი (ალბერტსენი 76), პინი (მიკელსენი 88), პულვეტი, მ. ნილსენი (კ. იენსენი 46), გრონკვიკი (გრონკვიკი 84), ტომასონი, რომიდელი (მ. იენსენი 88), სანი

თურქეთი 0:2 ალბანეთი

01 ბუში (58), 02 შკელი (71) თურქეთი: თემურ, უმითი თაბატი, ფათილ აკიელი (სურე 74), ალფი (რამიზანი 80), ნიშათი, აბდულა, ბასტურე (სურე 60), უმით დივილი (ტაიფინი 60), ემრე (მასან შაში 46), თაიბი (ფათილ თეკე 46), შისან თაიბი (თოლგა 74)

ნორვეგია 2:1 გუალტარეთი

01 ხრისტოვი (1), 14, 21 ლეონარდსენი (74, 75) ნორვეგია: შირე, ბერგდოლმ, შოგტონი, ეგენი (ოსტრეტი 60), პასმა (ოსტრეტი 46), ანდერსენი, კარენ (ენსენი 87), ლეონარდსენი, ბაკე, სოლსკიერი, შაბანდანი (ფლო 46)

საფრანგეთი 4:0 პორტუგალია

10 ვილტორეტი (17), 20 სილვესტრი (32), 30 აბრი (34), 40 ვორაკევი (80) საფრანგეთი: ბარტოლომე, ტურანი (კანდელი 71), ფესაი, სილვესტრი, ლიზარაზუ, ბუტი (სანიოლი 87), ვიარა (მადელე 62), პორტუგალია: ვიარა, ზიდან (ვორაკევი 46), აბრი, ვილტორეტი (ტრეზუბე 55)

ჩინეთი 4:0 ბრაზილი

01 მენზა (1), 11 ბაროზი (82) ჩინეთი: სინიუკი (ზენი 75), რუგა, რადა, ნოვოტნი (ოუფალუმი 46), ნედევი, იაროშიკი (იანკუ ლოვსკი 46), ტაი, პოპოვი (ლ. დოშკი 69), ბურგერი (როსიცი 46), კუკა (ბაროზი 46), ვაგნერი (ელჩევი 63)

უნგრეთი 0:1 დანი

უნგრეთი: კორალი, კორსოზი, შებოკი, მატეუმი, ბელო, ლენდვაი, შამბი, დარდაი, შამბი, ილუმი, შორიტი დანი: ნიკი, ბასანინი, კუვიასტო, ტობინი, ნილანდი, გრონოლენი, ნურმელა, კარილაკონი, ფორსელი, იოსამონი, კოლვა

ესპანეთი 1:0 იტალია

10 ბარასა (90) ესპანეთი: კანსარესი (კასილიასი 75), მანუელ პაბლო (ბუილი 68), ნადალი (ტელიესი 46), პაკო სერესი, სერხი (სერხი 75), მენდიეტა (ვისენტე 46), გარდოლა, ელგერა (ბარასა 31), მუნტისი, რაული (სოსე მარი 46), სალვა

იტალია 1:0 სახანეთი აფრიკა

10 მონტელი (54) იტალია: ტოდო, კანაბარო, მატრიაცი, მალდინი, ძამბროტი (პანკარო 70), ტომპო (დი დილი 81), ტაინარდი, კოკო, ლივინი (ფიორე 46), ფ. ინსაგი (ვიკი 46), მონტელი სახანეთი აფრიკა: ვინკი, მოკოვი, ბარი (მადელე 59), კარნელი (ლევიტო 46), ისა, შოშინი, ზუმა, შოშო, ფორმინი, ბარტლელი (ბუტატი 83), მაკატი (მსინგა 59)

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევო პეჯაო

Table with 2 columns: Team and Statistics. Includes teams like Mexico, Colombia, Ecuador, etc.

Table with 2 columns: Team and Statistics. Includes teams like Iran, Iraq, Saudi Arabia, etc.

Table with 2 columns: Team and Statistics. Includes teams like USA, Mexico, Costa Rica, etc.



ბოლივია — არგენტინა 3:3. ზუან სებასტიან ვერონი (11) და არგენტინა შერტცენას და წაგებას ბოლო წუთებზე გადაურჩნენ

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევო პეჯაო

Table with 2 columns: Team and Statistics. Includes teams like USA, Mexico, Costa Rica, etc.

Table with 2 columns: Team and Statistics. Includes teams like USA, Mexico, Costa Rica, etc.

Table with 2 columns: Team and Statistics. Includes teams like USA, Mexico, Costa Rica, etc.

Table with 2 columns: Team and Statistics. Includes teams like USA, Mexico, Costa Rica, etc.

მილანი მარიაშვილი დაიწყო პოლიციამ ბრიზიკაში 500 ლარი დაატოვებინა

ფიზიკულტურის და სპორტის აკადემიის რექტორის ომარ გოგიაშვილის კაბინეტში გუშინ არასრული შემადგენლობით მოიყარეს დისციპლინარებმა თავი. სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელ სხდომას გოგი ცივად და გრივად ცაავა არ დასწრებთან. დღის წესრიგში ორი საკითხი გამოიჩინოდა და ვიდრე ამასთან დაკავშირებით გუშინდელი სხდომის გადაწყვეტილებებს გაგაცნობთ, მოკლედ შევასხენებთ მათ.

უძალდესი ლივიდან ერთი თვით მოკვეთილმა მსაჯმა ავთანდილ შალამბერიძემ 22 აპრილს პირველი ლივის პრინციპული მატჩი განსაჯა და სახე-ნაირი დაბრუნდა ლანჩხუთიდან. „მილანის“ ნახევარმცველი პაატა გამცემლიძე ქუთაისელ არბიტრს ფიზიკურად გაუსწორდა. შალამბერიძესთან იგი დაკავშირებული მეორე ამბავიც. „დოკო-მოტივი“ — „დინამოს“ 17 აპრილის მატჩის სწორედ იგი სჯიდა. იმ შეხვედრის ერთ-ერთ ეპიზოდში დინამოელთა მეკარე სოსო გრიშკაშვილმა რკინიგზის აქციონტი ვილაური გალაზა. შალამბერიძემ ეს ეპიზოდს რეგირების გარეშე დატოვა და სწორედ ამიტომ უკრეს თავი ერთი თვით პირველ ლიგაში.

გუშინდელი სხდომის დაწყებამდე პაატა გამცემლიძე ომარ გოგიაშვილის კაბინეტის სახლოვეს კი ტრიბუნაზე, მაგრამ შემდეგ მისი არყოფნა „მილანის“ წარმომადგენელმა გამცემლიძის ვარჯიშის გამო თბილისში ჩამოსვლის გამო ასწავა. „მილანის“ გუნდის მენეჯერი მარიაშვილი ფიზიკურად დასწრებდა. ემოციური იყო მისი გამოსვლა: „სად არის შალამბერიძე, სად არის სათადარიგო არბიტრი დოგრაშვილი, რატომ არ მოიწვიეთ ისინი, როდემდე შეიძლება ასე გავრძელდეს? თქვენ ფეხბურთელის დასჯას აპირებთ და რატომ არ კითხულობთ, რამ მიიყვანა იგი ამ ზომამდე გადაჭრით ვაცხადებ, შალამბერიძემ მიკერძოებით გამიხსულად იმსაჯა, მეტსაც გეტყვით, მატჩის წინ ჩვენი გუნდის ერთ-ერთ ფეხბურთელს მსაჯებმა უთხრეს, მოგების შანსი არ გაქვითო. თამაშის დაწყებისთანავე სათადარიგო არბიტრი დოგრაშვილთან მივედი, ობიექტურობისკენ მოვუწოდე, ვთხოვე, ნუ გავგწირავთ-მეთქი. ჩემს

სიტყვებზე უკრძკ არ შეუბრტყია მერე კი, მე-40 წუთზე ერთ-ერთმა ლანჩხუთელმა ფეხბურთელმა 30 მეტრი ტრუსებში ხელჩაღებულმა ათრია გამცემლიძე, მოთმინებიდან გამოსულმა პაატამ მხოლოდ ერთხელ მოქაჩა მეურვეს და შალამბერიძემ უძალდესი ლანჩხუთის „გურიას“ სასარგებლოდ გამცემლიძემ, რას შერებო, ის უნდა დაგეგარიმბინაო, ამაზე შალამბერიძემ ყვითელი ბარათი უჩვენა. კაცები ხართ და რა გასაკვირია, რომ უსამართლობისას შეივინოთ. ასე მოიქცა პაატა და წითელი ბარათი მიიღო, მერე კი საბოლოოდ წყობიდან გამოსულმა ხელი მოიქცია... ყველა გაოცებულია მისი საქციელით. გააგვიყენ ბიჭო. „მილანის“ ბევრი ისეთი ფეხბურთელია, არავის არაფერს რომ არ შეარჩენს, მაგრამ გამცემლიძის ხმაძალი სიტყვა არავის ახსოვს. უწყინარი ბიჭია. შალამბერიძის გაუგონარმა არაობიექტურობამ დაუბნია ვინაა. მსაჯები ბევრჯერ მოგვეცვიან ასე. კმარა, ამდენი უსამართლობით მორალურად მოგვსეს. გუნდის სახელით ოფიციალურ წერილს ვამზადებთ, მოგვხვდით, თორემ ასეთ თამაშს აზრი არა აქვს“.

ამ სიტყვებს თვალცრემლიანი ამბობდა მილანელი ქალბატონი, მიუხედავად ამისა, ომარ გოგიაშვილმა კომპიუტერულმა ტექსტით, თორმეტთვიანი დისკალციფიკაცია ემუქრება თქვენს ფეხბურთელს, თუმცე ამ საქმის განხილვას მომავალი ოთხშაბათისთვის გადავდებთ, იმ მატჩის ოთხზე მსაჯს მოვიწვივთ, გამცემლიძეც მოიყვანეთ და მერე ვილაპარაკოთ... სოსო გრიშკაშვილი კი გულწრფელმა აღიარებამ და კლუბის ხელმძღვანელთა წინადადებებზე გადაარჩინა.

სადისციპლინო კომიტეტის სხდომამდე „დინამოში“ თადარიგი დაიჭირა და ამ ფაქტთან დაკავშირებით კრება ჩაატარა. კრების ოქმი კოლეგებს ომარ გოგიაშვილმა წაუკითხა. დინამოელებს ერთხელ დაუგმათ გრიშკაშვილის საქციელი და ფეხბურთელი სოლიდურ თანხითაც დაუჯარიმებიათ.

ვიდრე დისციპლინარები გრიშკაშვილს მოუსმენდნენ, „დინამოს“ პრეზიდენტმა რევაზ არველიძემ ილაპარაკა: „თქვენს ნებისმიერ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, გრიშკაშვილი ცუდად მოიქცა და დასასჯელია. მისი გამოცდილებისა და რეპუტაციის მეკარემ მსგავსი რამ არ უნდა მოიმოქმედოს. ისე, თქვენი გადაწყვეტილების გარეშე იგი სამაგალითოდ დაისაჯა, ხუთსი ლარი დაუკვეთეთ. საფეხური გამოგვცხადეთ, თანაც ტრავმირებულია და ბოლოს და ბოლოს ეროვნულ ნაკრებშიც ვერ ითამაშა. აქამდე გარკვეულმა გარემოებამ მიიყვანა იგი და სჯობს, თავად მოუვსინოთ, რას იტყვოს“.

სოსო გრიშკაშვილი „ვერცე კი წარმოიდგენო, როგორ ვნანობ მომხდარს. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, დამნაშავე ვარ ყველას წინაშე. გილაურს ბოდიში მოვუხადე, მეგობრულად დაგეგორდი. ასეთი რამ არასდროს დამმართია, ყვითელი ბარათიც კი არ მაქვს მიღებული კარიერაში და პირობას გაძღვეთ, ამერიდან სანდო ვიქნები ყველასთვის. აღნიშნულ ეპიზოდამდე ფეხ ვიჭრე, მაგრამ მოდანზე დავრჩი, რადგან სათადარიგო სკამზე ჩემს შემცველად გამოუცდილი, 17 წლის ფეხბურთელი იყდა და ასეთ პრინციპულ მატჩში მოედანზე დარჩენა ვამჯობინე. მერე კი გილაურს ტრავმირებულ ფეხზე მოუხვდა ფეხი და ტკივილისგან გავეწარდი. მგონი მან შეგნებულად გააკეთა ეს. მიუხედავად ამისა, ჩემი საქციელი გაუმართლებელია და სასჯელისთვის მზად ვარ“.

ფეხბურთელის სიტყვებით გულაურეულმა დისციპლინარებმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღეს და ერთი მატჩით და 50 ლარით დააჯარიმეს გრიშკაშვილი. გოგი დემეტრადემ კი ჩვეულ ექსტრაგაგანტულ სტილს არ უღალატა და რევაზ არველიძეს უთხრა, „დინამო“ პოლიციისა, დავისჯათ კიდევ ეს კაცი, არ შეგეშლეთო, მაგრამ იმ მატჩისას თერთმეტი პოლიციელი რატომ იყო მოედანზეო.

— რა მია ვოგი, ცოტა სამართალდამცავი ხრუნავდა მატჩის უსაფრთხოებაზე?

— არა, შვილო, მე იმ თერთმეტ პოლიციელზე გეუბნები, მოედანზე რომ თამაშობდნენ, ეს არის „დინამო“?

გუშინდელ სხდომზე გრიშკაშვილის მსგავსად კიდევ ერთი დინამოელი — არჩილ სახაძე და რკინიგზის რეზინის ონიანი დაისაჯნენ. მათი შელაპარაკება, ურთიერთმეურაცხეობა იმავე მატჩში წითელი ბარათებით შეაფასა შალამბერიძემ.

ერთ მატჩს გამოტოვებს და 50 ლარით შეითხლებს ჯიბეს თსუელი მიხეილ მესხიცი. ცხინვალელი თამაშის ციკლი კი ორი მატჩით მოკლდება და 100 ლარსაც შეეღამა. ისევე მოხდება კივრების მხრიდან პროვოკაციაზე წამოკიდებული წყალტუბოელი ვარდანძიძეც ორ შეხვედრას გამოაკლდება.

22 მარტს თსუ — „სიონის“ შეხვედრის მსაჯობით აღმოუჩინებულმა სტუდენტთა თავკაცმა მერაბ კოჭლაშვილმა ნამატჩეებს ინსპექტორ ლევან ყიფიანის თანდასწრებით თქვა, აწაიბრი მსაჯობისო და გუშინ დისციპლინარებისგან გაფრთხილება მიიღო. გაფრთხილებითვე დაისაჯა 4 აპრილს „დინამო“ — „ტორპედოს“ მატჩისას სათადარიგო სკამიდან გამეკვებული ქუთაისელთა ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანიც.



მარიაშვილი ფირცხალაშვილი

ნაგალი გუგუნი ტოუბასა დემეტრადე ექიმებს ჩააბარა

ცუდ ფეხზე გადავიდა კივიის „დინამოდან“ ესპანეთის „სოსიედადში“ გიორგი დემეტრადე. ახალ გუნდს დემეტრადეში რომ შეუერთდა, პრიმერადივიზიონში პირველად იანვარში ითამაშა სულ 20 წუთს და მერე ისე დაშავდა, დღემდე მკურნალობს. „სოსიედადის“ ერთ-ერთი ვარჯიშისას ესპანეთში გადაბარებულ პირველ ქართველს მუხლამ უმტყუნა და საოპერაციო შეიქნა. დაახლოებით თვენახევარი დემეტრადე ტრავმას იმუშებდა, შემდეგ აღდგენითი პროცესი დაიწყო, ნელ-ნელა ის სასურველ ფორმასაც იბრუნებდა და უნდა ეთამაშა კიდევ, მაგრამ ნაოპერაციო გაუმიხვდა.

გიორგი დემეტრადე საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ისრაელის ნაკრებთან გუშინწინ სათამაშოდ გამოიძახეს, თუმცე ის არ იცოდნენ, რომ ფეხბურთელს 26 აპრილს ოპერაცია ხელახლა უნდა გაეკეთებინა.

ჩვენც, როცა დემეტრადეს სან სებასტიანში შევეხმიანეთ, პირველად სწორედ ტრავმის თაობაზე ვკითხეთ.

— მართალია, 26 აპრილს იყო ოპერაცია დანიშნული, მაგრამ შემდეგ ექიმებმა გადაიფიქრეს. ახლა მუხლზე მასაჟებს მიკეთებენ და ეგებ ქირურგიული ჩარევა საჭირო აღარც გახდეს.

— ასეთი უსაშველო რა არის?

— ყველაფერი კარგად იყო. ექიმებმა სრული დატვირთვით ვარჯიშის ნებაც დამრთეს. მწვრთნელი ვინც ტოშაკი მიმრეზობდა კიდევ, ერთ-ორ კვირაში გათამაშებო, მაგრამ ბედი არ გინდა, ვარჯიშისას ისევ ამტკივდა მუხლი. გამოსინჯეს და მითხრეს, ნაოპერაციო მუხლში წყალი ჩამდგარა და მკურნალობა გჭირდებაო. ახლა ექიმები ყოველდღე მასაჟს მიკეთებენ.

— რამდენ ხანში გამოჯანმრთელდები?

— თუ მასაჟებმა მიშველა, რა თქმა უნდა, ოპერაცია საჭირო აღარ იქნება და მუხლებიან, ათ დღეში შეძლებ ვარჯიშისო.

— ესე იგი, წლებადელი სეზონი შენთვის არ დამთავრებულია?

— არ ვიცი. იმედი კი მაქვს, ტრავმას ათ დღეში მართლაც რომ მოვიშველებ, ფორმასაც სწრაფად აღვიდგენ და მერე ეგებ, თამაშიც მოვასწრო. ჩემპიონატის დამთავრებამდე თვენახევარია დარჩენილი და არ არის გამორიცხული, ივნისში ვითამაშო.

— მწვრთნელი რას გეუბნება?

— ყურადღებას არ მაკლებს. თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს, ჯანმრთელობის მდგომარეობა ანტრეგებს, მამხნელებს და მაიმედებს, გუნდს სჭირდებაო.

— პრიმერადივიზიონიდან გავარდნის საშიშროება რომ გემუქრებათ და დარ-


ჩინელ მატჩებს თქვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მწვრთნელი ოთხი თვის ნამკურნალევი ფეხბურთელის თამაშს არ მოერიდება?

— რა ვიცი, ტოშაკი თვითონ მეუბნება, თუ მალე გამოჯანმრთელდება, გათამაშებო. მეც ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც ექიმები მიჩვენებ და თუ ფორმას აღვიდგენ, მგონი, ამ სეზონშივე დავეხმარები გუნდს, მით უმეტეს, ივნისამდე გასაჯარუნთა ზონას ცოტა მაინც თუ მოვძორდით.

— გაქვთ ამის იმედი?

— „ველიადლიდის“ დამარცხებამ ძალიან გავვახარა. ახლა ბოლოდან მეოთხე ადგილზე ვართ და კარგი შანსი გვაქვს, კიდევ მაღლა ავიწიოთ. ყოველ შემთხვევაში, ტოშაკი ამბობს, არ გავვარდებითო. ის მართლაც ძლიერი მწვრთნელი ყოფილა. შემადგენლობას, ტაქტიკას ისე რჩევს, მეტოქეებს თავგზა ეხვევთ. ფსიქოლოგიურად კარგად ამზადებს ფეხბურთელებს. ერთი სიტყვით, არა მგონია, ტოშაკის ხელში „სოსიედადი“ პრიმერადივიზიონიდან ვავარდეს.

კობა ინსარაძე



სოსო გრიშკაშვილის (№1) მუშტის ქნევა ძვირად დაუჯდა



გიორგი დემეტრადე ბუცებს საგარეულოდ ივნისში მოიარებს

სარბიელი

საბუნებრივად ინვაზი

ჟურნალისტებს, გამოცდილთა და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკვადაონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

მს საზოგადოარი ნაბრძო

მინაროლენ, მოვიგეთ... გუშინწინ საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ისრაელის ნაკრები დაამარცხა...

ვიდრე ჩვენი გუნდის მწვრთნელები ნაკრების თეორიული შეცდომების ვიდეოფირს გვაჩვენებდნენ, მანამდე მათ შეგონებას ქარს არ გავაბანთ და ფეხბურთელებს გვარიანად გავათხოვით. რადგან, თურმე, მათზე ოდნავ შექებაც დამლუპველად მოქმედებს.

ჩვენებმა საზიზღრად ითამაშეს. საერთოდ იმას ხომ თამაში არც შეიძლება ეწოდოს. ან ის რა გოლი იყო, ქეცბაიამ რომ გაიტანა. მოატყუა ერთი, მეორე... ბურთი ოდნავ გაასწორა და ცაციათი მოხდენილად ჩასვა სტუმართა დაბნეული მეკარის კარში.

ქინქლაძის პასი... დიდი რამეც ეგ იყო. ბურთი მიიღო, მცველი ჩამოიტოვა და თემურსაც მიაწოდა. რა არის აქ გასაკვირი.

ჰო, დაარტყა ქეცბაიამ. განა ერთხელ და ორჯერ... გასაკვირია, სტუმართა მეკარეს სულ ელემენტარული რატიმ მოსდითა?

ჩაიდრებლენგა შოთა არველიძემ. სტუმართა მცველები გააბითურა. ტყუპისცალიც დროულად შეიტკრა საჯარიმოში და პასიც ზუსტი გამოვიდა...

ადრე უფრო უკეთეს გარჯილან ჩვენი ბიჭები. ქეცბაიას და ქინქლაძეს გაცილებით უფრო უკეთესი გოლები გაუტანიათ, მეტი პასები ჩამოურიგებიათ. შოთას და არჩილსაც ხომ უსახელებიათ თავი?

ჰოდა, ამითან არაფერი გამოვა. თამაში არ იცინა და საერთოდ, რა უნდათ ვერ გავგვიგა.

ახლა კი სერიოზულად. გუშინწინ დღემდე მატჩმა ნაკრების არარსით სუსტი წერტილი გამოჩინა. მართალია, რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა გუნდს,



მსაჯმა-დაუსტვინა და... მოედანი ავტოგრაფებზე მონადირე ბიჭ-ბუჭებით გაივსო. ეს რომ ოფიციალური მატჩისას მოხდეს, ჩვენს „ეროვნულს“ ყურის აწევა არ ასცდება

მაგრამ ისინი რომ ყოფილიყვნენ, ბევრი რამ, ალბათ, არც შეიძლებოდა. დაცვით დავიწყეთ. მოგვეჩვენა თუ მეტრძოლი ძველებურად ისევ საჭიროზე მეტხანს ყოვნდებოდა ბურთი მოედნის

ტრისთვის უჩვეულოდ ბევრი შეცდომა მოსდიოდათ მცველებს. ნახევარდაცვა არ იყო მობილური და მეტრძოლი ძველებურად ისევ საჭიროზე მეტხანს ყოვნდებოდა ბურთი მოედნის

შუაგულში. ოფიციალურ თამაშში მეტოქე (იტალია, უნგრეთი) ამას არ გააბატიებს.

საგოლე მომენტების რეალიზაციის უაბაბლესი პროცენტი. ისევ ქარს

მოკრივე მეტაქას ფეხბურთელმა ღრუჯომ აჯობა მეტპრინართა მდიმარა ფორმარდი

მას ძალუძს იტალიას გოლი გაუტანოს... ასევე შეუძლია, ქვეყნის ჩემპიონის კარი სამჯერ დალაშქროს, ხოლო ათგზის ჩემპიონთან დუბლი შეასრულოს. ახალგაზრდული ნაკრებისა და „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდ ლევან მელქაძეს გუშინწინ ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა. სულ სამიოდ წუთი ითამაშა, მაგრამ უზომოდ გაიხარა. ...არადა, შეიძლება, მელქაძე მწვანე მინდორს არც გაჰკარებოდა. მან ხომ თავის დროზე კრივიც მოსინჯა ძალა, თუმც, მუშტების ქნევას თავი მალევე ანება და ფეხების ქნევაზე გადავიდა. არავინ იცის, როგორი მოკრივე დადგებოდა მელქაძე, ფეხბურთელი კი რიგიანი გამოვიდა — ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მეგოლეა.



ჯანი კარნეგლის სადებიუტო მატჩი „ვიტ ჯორჯიას“ ლევან მელქაძის სამი გოლით მოიგო, თავად ლევანმა კი მწვრთნელის გული მოიგო

ცოტა ხანს ვითამაშე, მაგრამ ჩემთვის ეს უდიდესი სტიმული იყო. ისე, სანამ მოედანზე შევადლო, დებიუტანტად თავი არც მიგრძენია. მწვრთნელთა და ნაკრების გამოცდილ მოთამაშეთა თანდგომას ყოველწუთს ვგრძნობდი. ამერიდან ყოველწუთს ვგრძნობდი, ქვეყნის მთავარ გუნდში თამაში კიდევ დავიმსახურო.

ინც ახალგაზრდული გუნდის ფორვარდდ მოთაზრება, იმ ნაკრებისა, რომელმაც ჩატარებულ სამ შეხვედრაში ქულაც ვერ მოიპოვა... ლიტვაში არ უნდა წავგვევო. არ იყვნენ მასპინძლები ჩვენზე ძლიერები, მაგრამ ბევრი შეცდომა დაგუშვიო, საგოლე მომენტებიც ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ.

იდეა. მეორე ტაიმში ორი გოლი კი გავქვიეთ, მაგრამ განსხვავება კლასში აშკარა იყო. სერია A-ს ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს ვეთამაშებოდი, რომლის თითოეული ფეხბურთელი ვეროპის ერთ-ერთი უძლიერესი ჩემპიონატის მატჩებში იყო გამობრძმედილი. ვცდილობდი, ტოლსწორად გვებრძოლა, მაგრამ... შინ რომინეთთან ისევ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომების გამო წავაგეთ. დასაწყისშივე ორი საგოლე მომენტი გავაყუდეთ, რომ გავგეტანა, იქნებ სხვა თამაში წასულიყო, თუმც სტუმართა ათლეტურ გუნდთან გამარჯვება მაინც გავიჭირებოდა.

— რატომ?
— ჩემი აზრით, აქ პირობები არაფერ შუაშია. კი, ისინი ჩვენზე უკეთეს მინდვრებზე ვარჯიშობენ, უფრო დიდ დროს ატარებენ ერთად, მაგრამ მთავარი მაინც იმ ჩემპიონატის დონეა, სადაც თამაშობენ. ისინი გაცილებით ადრე ყალიბდებიან პროფესიონალებად. დამამსხვრენენ იტალიელები — კასანო და პიროლი, რომინელი ჩერნატი. ჩემი კბილა ბიჭები უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელები არიან.

— მოდი, შენს კლუბზე „ვიტ ჯორჯიასზე“ ვისაუბროთ. რისი ბრალია დასკვნით ეტაპზე გუნდის ასეთი არასტაბილური თამაში?
— ყველაფერი იტალიური შეკრებიდან მოდის. იქ მართლა საუცხოო პირობები გექონდა, მაგრამ თითქმის დღეგამოშვებით თამაშმა და ყოველდღიურად სამჯერადმა წვრთნამ გამოვეფიტა. თანაც იტალიაში გამგზავრებამდე აქაც შეკრებაზე ვიყავით, ჩამოვედიო და კიდევ შეკრება... ასეთი დატვირთვისთვის მზად არ აღმოჩნდით. მეორე ტაიმში საბრძოლველად ძალა არ გვეყოფნის.

— „ვიტ ჯორჯიას“ საბოლოო სამედიცინო მოწვევის შანსი კიდევ აქვს?
— წინ ხუთი ტურია. ვნახოთ, იმედი არის, თანაც თასის გათამაშების ნახევარფინალშიც ხომ ვართ და ვეროსარბიელზე თამაშის სურვილიც დიდია.
— ისეთ ფეხბურთელთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ძალიან ხშირად უწევთ ექიმთან საირაული დღეს ტრავმირებული ლევან მელქაძის ხილვა არავის უკვირს.
— ასე დამებედა. თითქოს სასურველ ფორმამი შევალ და ტრავმასაც მივიღებ. მართალია, სერიოზულად არ დავშავებულვარ, მაგრამ წვრილ-წვრილი ტრავმები თითქმის მუდმივად მაწუხებს. „დინამოსთან“ ბოლო ტურის მატჩიც ფეხმტკივნადა ვითამაშე. იქნებ იმის ბრალია, ბრძოლას რომ არ ვერი-

მაიქს სიმწრით და დაცვით შექმნილია ხელსაყრელი მომენტები... ჩვენს დარჩენილ მატჩებში მხოლოდ ლიტვამ შეიძლება გააბატიოს გულარხინობა. ისიც მხოლოდ შეიძლება, თორემ არ არის გამორიცხული, მათაც გავგაძვარონ.

ნაკრებმა ისევ ზოხინა, ნელი ფეხბურთი ითამაშა. არანაირი აჩქარება, სისწრაფისადმი არავითარი ლტოლვა ასეთი ტემპით იტალია მოედნის ცენტრს არ გადაგვაცილებს.

ყველაზე მთავარი და, ალბათ, დამაფიქრებელი ის გახლავთ, რომ ეროვნული გუნდის წარმატება ისევ ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალურ ოსტატობაზე ჰკიდია. თუ ქინქლაძემ, ქეცბაიამ, შოთა არველიძემ მეტოქის მიუღი დაცვა არ მოატყუეს და მეკარეს თავზე ბურთი არ გადაატარეს, გოლი ვეღარ გავგებინა.

ნაკრების თამაშში არ იგრძნობა სიმწვრთვე, არ შეინიშნება წინასწარ დაშვებული კომბინაციები. თითოეული მოთამაშე აკეთებს იმას, რაც ძალუძს და თუ მოიქნის სასწაულად და საგოლედ თემურ ქეცბაიამ და მისმა თანაგუნდელებმა ხომ კარგი, არადა, წასულია საქმე.

ეს ყველაფერი ერთად აღებული ერთი დიდი ხარვეზია და მისი აღმოფხვრაც იტალიამდე დარჩენილ ერთ თვეში თითქმის წარმოუდგენელია. არადა, ფეხბურთელები და მწვრთნელები ამბობენ, ჯგუფში მეორეობის შანსი კიდევ გვაქვს.

შანსი გვაქვს, წაფორხილების უფლება კი არა.

ისე, თავისთავად ის ფაქტი, რომ მოვიგეთ, კარგია. ვიღაცებს ცოტა გუნება გამოუკვირდათ. რა თქმა უნდა, თუ გუშინწინდელი გამარჯვება რამეში გამოვადგებოდა.

მაგნიტა კმანტალიანი
დები, მაგრამ ფეხბურთელი თუ ხარ, ამას არ უნდა შეუშინდე. ვაგა დრო, უფრო მოვლინიერდები, გამოცდილება მეტი დავაროვებ და, იმედი, ტრავმებიც აღარ შემაწუხებს.

— ორივე ფეხით და თავითაც კარგად თამაშობ. ეს თანდაყოლილი ნიჭია თუ შრომით მიღწეული უპირატესობა?
— ჩემი აზრით, ფეხბურთში არაფერი გამოვივა ნიჭის გარეშე. თავიდანვე მარჯვენასა და ცაცვას ერთნაირად ვზმარობდი, თავითაც არა მიშავდა. გოლების გატანა ორივე ფეხით და თავითაც შემიძლია, მაგრამ სრულყოფილებამდე შორია. დასახვეწი კიდევ ბევრი რამაა. ცაციათი გაცილებით ძლიერად ვურტყამ, მარჯვენა ფეხით უფრო ზუსტად ცაცვას თუ მეტ სიზუსტეს დავუკმატებ, ხოლო მარჯვენას სიძლიერეს, მაშინ ვიტყვი, რომ დარტყმები დავხვეწე.

— „ვიტ ჯორჯიას“ იტალიელი ჯანი კარნეგალი წვრთნის. უცხოელის მოსვლით რა შეიცვალა გუნდში?
— თითქმის ყველაფერი. შეიცვალა მენიუც, გაცილებით გამოზომილი და მრავალფეროვანი გახდა. ნელ-ნელა იცვლება სათამაშო სტილი. ამოსავალი წერტილი მყარი დაცვა და სწრაფი შეტევა ხდება. ყველაზე მთავარი, გამაყრდა დისციპლინა. ასეთი სიმკაცრე არც ერთი მწვრთნელის დროს არ ყოფილა.

— და მაინც, ძალიან კეთილი კაცია სინიორ ჯანი. მოედნის გარეთ გულთბილია, რჩევა-დარიგებას არ მოგაკლებს, მინდორზე კი მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრსა და შრომას მოითხოვს. წამით მოღუბნები და საჯარიმო წრეც გამოწერილია.

— რამდენ დროს უთმობს ლევან მელქაძე ფეხბურთს?
— ლევანს უკეთესი სურვილია თავისი და ძალის აღდგენისთვის მრჩება. ჩვეულებრივ დღეებში დროის ნახევარზე მეტი ისევ ფეხბურთს მიაქვს — ვარჯიშში, მატჩების ყურებას ან მწვრთნელთან ერთად ვარჯიშსა და ასე შემდეგ. დანარჩენიც პირადად ურთიერთობებისა და საქმეებისთვისაა განკუთვნილი.

— ფეხბურთელებისთვის მეტსახელი უცხო ხილი სულაც არ არის. ამ მხრივ გამონაკლისი არც შენ ხარ. ღრუჯო ვინ შეგარქვა?
— არის ერთი მეკარე, დათო სულავა. ვარჯიშებზე ხშირად ვეხუმრებოდი და ვუღიმიოდი. ერთხელაც გამწარდა და შეღრუჯავო, დამძახა. გუნდის ამბავი კი იცით, ღრუჯოსაც მას აქეთ შეძახიან. ისე, ხშირად კი ვიღიმიები.



კლავდიასთან კლავზე პსიქოპათოლოგი, კლავდიო კი ყველაზე ასლო მეგობარია...

კიდევ ერთი პატარა ნაწყვეტი დიეგო არმანდო მარადონას ნიგანიდან „მე დიეგო“. ამჯერად დიდი არგენტინელი 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომ ამბებს მოგვითხრობს — პლანეტის საუკეთესო ნაკრები ნელ-ნელა არარაობად იქცა და მარადონას დიდი ჯაფა დასჭირდა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

დიეგო აღიარებს, რომ ფულის გულისთვის არასოდეს უთამაშია და ამის თაობაზე თანაგუნდელ ბოჩინისთან სერიოზული კამათიც მოსვლია.

მას არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონასთან ფიცხელი საუბარიც არა ერთხელ ჰქონია.

საუკეთესო მეგობრად კი ჩვენი ნემსადისა და ხიზანიშვილის დახმარებით თანაგუნდელს, კლავდიო კანიჯას მიიჩნევს, რომელიც 1987 წლის ივნისში გაუცვნიდა...

ბოლოს და ბოლოს, კლავდიას დაპირება შევესრულე, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შევბუღებულ პოლინიუზიაში ჩავდივარ. მაშინ ყველაფერს ვარდისფრად ვხედავდი, მაგრამ თურმე მწარედ ვცდებოდი.

არა, კლავდიასთან ყველაფერი ჩინებულად მქონდა. მთელ დროს დიდებულ სანაპიროზე ვატარებდი და სპირალ პირდაპირ იქვე ვსივარულვობდი, რითაც კოლანდიელი დამსვენებლები გვარიანად შევაშინეთ. ალბათ ამიტომაც, ავტოგრაფებს იმაზე გაცილებით ნაკლებს მართმევდნენ, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მაგრამ მთავარი პრობლემა სულ სხვა რამ გახლდათ. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ „სტეკას“ სტადიონზე ასეთი ტრანსპარანტი გაჩნდა: „ბილარდო გვაპატიე და გმადლობთ“.

გვაპატიე, გმადლობთ? მაშინ მივხვდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მიუხედავად, ჩვენი ნაკრები კლავაც ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ გუნდად რჩებოდა. „ნაპოლიში“ საქმეები კარგად მიდიოდა, მეორე „სკუდეტოს“ ვუმინებდით და იტალიის თასის მოგებასაც ვეკუთვალეთ. მთავარი არგენტინის ნაკრები გახლდათ.

ამხანაგური შეხვედრები მხოლოდ ფულის გასაკეთებლად იგეგმებოდა, თანაც მე არც არავინ მაფრთხილებდა და არც მეთათბირებოდა. ნაკრების ყველა მატჩში მინდოდა თამაში, მაგრამ იმედლოდვარ ვცდილობდი ეროვნული გუნდის ფეხბურთელებისა და კაპიტანისთვის პატივი ეცათ, მათ ხომ სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს ჩემპიონა-

ტი მოიგეს. შეიძლება ეს წვრილმანებია, მაგრამ მერწმუნეთ, მნიშვნელოვანი წვრილმანები.

ასე, მაგალითად, 1997-ში არგენტინაში გასამართ „კოპა ამერიკამდე“ ნახევარი წლით ადრე ბილარდომ მკითხა, მსურდა თუ არა ნაკრებში თამაში, მე თანხმობით ვუპასუხე, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მესმოდა, რა დღეები ვიქნებოდი დამქანცველი სეზონის შემდეგ, მაგრამ ამას სიმართლის გულისთვის ვაკეთებდი. როცა თანაგუნდელებს მარადონას პასუხის გაგება სურდათ, ყოველთვის იგებდნენ, თუმცა ზოგიერთები, როგორც ესპანეთში ამბობენ, „პესეტეროსებად“ გვთვლიდნენ, ანუ ისეთ ხალხად, ვისთვისაც მთავარი ფულია.

გარწმუნებთ, ჩვენ მხოლოდ საკუთარი ღირსების დაცვისთვის ვიბრძოდით. მერე კი მორალისტები მომრავლდნენ: „როგორ? არგენტინის მაგვარ ქვეყანაში იოლად ფულის შოვნა სურთ? — გაიმახინჩნენ ისინი...“

არა, არა და არა: მექსიკაში მატჩებისას ფულზე ერთ წამს არ მიფიქრია, მერე კი ბოჩინისთან სერიოზული კამათი მომივიდა, მან თქვა, რომ სათანადო ანაზღაურების გარეშე თავს მსოფლიოს ჩემპიონად ვერ აღიქვამდა...

ყველაფერ ამაზე ერთ-ერთი შეხვედრისას, 1987 წლის მარტში, რომში ფედერაციის პრეზიდენტი გრონდონას ვესაუბრე. მეც და ხულიოც გავფიცვდით, თუმცა ბოლოს ერთმანეთს გაუკუგეთ. ყველა კითხვაზე მიპასუხა. იმ საღამოს არგენტინის ნაკრები „რომას“ ამხანაგურად გაეჯობრა და დამარცხდა. მე კი კვლავ ბრძოლა დავეწყე — ერო-



დიეგო და კლავდიო

ვნული გუნდის დანგრეული შენობა უნდა აღგვედგინა.

წლის შუაში, როცა ევროპაში სეზონი დამთავრებულია, ლიმონივით გამოწურული გახლდათ, თუმცა ნაირგვარი ტიტულებით კი დავიხუნდებო: გავხელი მსოფლიოს ჩემპიონი, „ნაპოლისთან“ ერთად იტალიის თასი მოვიგე, ასეთი რამ კი კალწოში ბოლო თხუთმეტ წელიწადს არ მომხდარიყო.

როგორ ვითხრათ, თუ საფეხბურთო თვალსაზრისით შევხვდებით, თავს ჩემპიონად მივიჩნევდი, მაგრამ ბუნდელი არ ვიყავი. არ ვმალავ, იმათ, ვინც ქილიკობდა, ცხოვრებაში არაფერი მოუგიათ, ღირსეული პასუხი ვავეცი, მაგრამ მწყინდა, რომ ნაკრებს ისევ ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო. დაეწყო ჟურნალისტებისა და გულშემატკივართა დაფინანსებული შხერის თანდასწრებით.

რა მოხდა? არაფერი, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ 1987 წლის 10 ივნისს, ციურინში, იტალიელებთან ამხანაგური მატჩი 1:3 წაგვეთ. ამან კრიტიკის

ქარცეცხლი დაგვატეხა თავს, ჩვენ ძლიერებაში ეჭვი შეეპარათ...

ის დღეები ძალიან კარგად მახსოვს. მაშინ პელესაც შევხვდი, ოლონდ არა პოლემიკისთვის. ორივე ჩვენს აზრზე დავრჩით. მე მხოლოდ ვუთხარი: არ მინდა შენზე დიდი ფეხბურთელი ვიყო-მეთქი. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და იტალიის ნაკრების კაპიტან ალტობელისთან ერთად სურათი გადავიღეთ.

ერთადერთი, რამაც იმ მატჩში დაღვითი განცდა შემძინა, კანისთან — კლავდიო პაულ კანიჯასთან გაცნობა იყო. ჩემს ძმა ტურკოს მასთან რამდენჯერმე ევარჯიშა და ძალიან თბილად იხსენებდა ხოლმე, ამიტომ როგორც კი შევხვდი, ვუთხარი: კარგად გიცნობ და ერთმანეთს უნდა გავუგოთ-მეთქი. ეგ არის, ბილარდომ მხოლოდ დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გამოიყვანა მინდორზე. მაშინ მივხვდი, რომ მალე ახალი კამათი და შეხლა-შემოხლა დაიწყებოდა. კანი ხომ ჩემი ყველაზე ასლო მეგობარია...

ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატი	
ინგლისი 2001	
A ჯგუფი	
I ტური	
გერმანია — ბელგია 1:2 რუმინეთი — ესპანეთი 0:3	
II ტური	
რუმინეთი — გერმანია 2:3 ესპანეთი — ბელგია 5:0	
ესპანეთი 2 2 0 0 8:0 6	
ბელგია 2 1 0 1 2:6 3	
გერმანია 2 1 0 1 9:4 3	
რუმინეთი 2 0 0 2 2:11 0	
B ჯგუფი	
I ტური	
პოლანდია — თურქეთი 0:3 ბოლინეთი — რუსეთი 0:0	
II ტური	
პოლანდია — ბოლინეთი და თურქეთი — რუსეთი ნუბელ გვიან დამთავრდა	
თურქეთი 1 1 0 0 1:0 3	
პოლონეთი 1 0 1 0 0:0 1	
რუსეთი 1 0 1 0 0:0 1	
პოლანდია 1 0 0 1 0:1 0	
C ჯგუფი	
I ტური	
ინგლისი — იტალია 3:3 შვეიცარია — უნგრეთი 2:1	
II ტური	
ინგლისი — შვეიცარია 2:2 იტალია — უნგრეთი 3:4	
იტალია 2 1 0 1 6:5 3	
უნგრეთი 2 1 0 1 5:5 3	
ინგლისი 2 1 0 1 3:3 3	
შვეიცარია 2 1 0 1 2:3 3	
D ჯგუფი	
I ტური	
სორბატა — ფინეთი 2:2 საფრანგეთი — შოტლანდია 3:1	
II ტური	
საფრანგეთი — სორბატა და შოტლანდია — ფინეთი ნუბელ გვიან დამთავრდა	
საფრანგეთი 1 1 0 0 3:0 3	
სორბატა 1 1 0 0 2:0 3	
ფინეთი 1 0 0 1 0:2 0	
შოტლანდია 1 0 0 1 0:3 0	

რესტორანი მზიანი ღამე

ბანსკა-ბუკურა გარეუბანში სარისსით დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

- * პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- * გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი სირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვინდეთ: კმაყოფილი დარჩებით



ჩვენები ჩვენებთან ღიუბლიანაში

ეპროგნოსტიკა-2003: საქართველოს ეროვნული გუნდი ოლიმპიას გაეზარდა

ეპროგნოსტიკა-2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლისთვის საქართველოს კალაბურთელთა ეროვნული ნაკრები სლოვენიაში მოემზადება. ჩვენებურები 20 მაისს ჩაუბრდნენ ლიუბლიანაში და ათ დღეს დარჩებიან, „ოლიმპიას“ კუთვნილ ბაზაზე იკარგებიან და იქვე, სუთის წყლის საგულზე, ოთხვარსკვლავიან სასტუმროში იცხოვრებენ.

ვარჯიშის გარდა ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდი სლოვენიაში საკონტროლო მატჩებსაც გამართავს. ქართველებთან ვაჯინებების სურვილი სლოვენისე „ტრი-გლას“, „ვილიოსი“, „ლოკა კავასი“ და ჩვენთვის კარგად ნაცნობ „სლოვანს“ გასწავლია. მეხუთე საწვრთნელ შეხვედრაში ჩვენი ნაკრების მეთექვსმეტე სორვატი-ის ან სლოვაკიის ჯერაც უცნობი კლუბი იქნება.

ლიუბლიანაში ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე თერთმეტ კალაბურთელს იახლებს. იქ შეუერთდებიან გუნდს სლოვანელი ქართველები — უკრებელიძე, ციტიშვილი, ბოსისა და ტულუში. ასევე სლოვაკურ „ლევანე-ში“ მყოფი დავით ბერძენიშვილი.

სადღეისოდ გაურკვეველია ნიუჯერსელი ვლადიმერ სტეფანისა და ულტიერე-ლი ზანა ფანჯის საკითხი. ეს ორივე კალაბურთელი გამოძახებულია ნაკრებში, მაგრამ უცნობია, მოახერხებენ თუ არა სლოვენურ შეგებაზე ჩასვლას.

გუნდი სამშობლოში 31 მაისს დაბრუნდება, 2 ივნისს კი ევრობასკეტ-2003-ის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ოფიციალურ მატჩსაც გამართავს ბულგარეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ.

გიორგი გიგაშილი

შეიძლება განსაუკულებს უხარ



ლე კოლინში და მაიკლ ჯორდანი წარსულში მისწავლებელი
და შეგირდი, დღეს — ხელკეცილი და უფროსი

პლეი ოფი თანდათან ეშვში შედის და მასში მონაწილე ნა-ს ჩრეული დღესღებებით სხვა არაფერზე ფიქრობს. პლეი ოფის მიღმა დარჩნით კი შემოდგომამდე უკმალო ყოფნა მოუწევთ და ამ ხნის განმავლობაში ყველანაირად შეეცდებიან, მომავალ სეზონს უკეთ მომზადებული შეხვდნენ. რამდენიმე გუნდმა რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ წამოიწყო რეფორმები, რის შედეგადაც რამდენიმე მწვრთნელმა დაკარგა თბილი ადგილი.

„ვაშტინტონ ვიზარდის“ პრეზიდენტი და ერთ-ერთმა მფლობელებმა, ლენგინდარულმა მაიკლ ჯორდანმა „ჯა-დოქტორის“ დამრიგებელი ლენარდ ჰამილტონი თანამდებობიდან გაათავისუფლა. მიხეზი დღესათვის ნათელია, ჰამილტონის ხელში „ვიზარდსა“ სეზონში 19 თამაში მოიგო, რაც კლუბის ანტირეკორდია. დიადმა მაიკლმა ცნობისმოყვარეობა დაიწყო, არ ალოდინა და მალევე ხალხს „ჯადოქართა“ ახალი დამრიგებელი წარუდგინა. იგი ლე კოლინში გახლავთ, ჯორდანი კი ფოფილი მასწავლებელი, რომელიც „ჩიკაგოს“ მამინ ელა სათავეში, როდესაც ჯორდანმა ნა-ს კარი შეაღო. კოლინის კარგა ხანია, მწვრთნელობისთვის თავი დაუბრუნებდა და მისმა გადაწყვეტილებამ ახლობლები გააკვირვა. „რატომ გადაწყვეტილ ამ ჯოჯოხეთის დაბრუნდეს? მკითხა ბერმა, რაზეც ვუპასუხე — იმიტომ, რომ მაიკლმა დამირეკა და მითხრა, ძალიან მჭირდება, შეგიძლია, დამეხმარო? განა შემიძლია უარი მე-თქვა?“ — თქვა კოლინმა აღსანიშნავია რომ ლე კოლინში მეექვსე მწვრთნელია, ვინც დედაქალაქელებს ბოლო ორი წლის განმავლობაში დაარბევს. ამ მოვლენათა გამო ყურადღების ცენტრში მოქცეულმა ჯორდანმა კი კიდევ ერთხელ ისარგებლა შემთხვევით და განაცხადა, კალაბურთიდან 99,9 პროცენტით ვარ წასული და დაბრუნება არ ვაპირებ, თუმცა იქვე თქვა, ახლა ეს ასეა, მაგრამ რას ვფიქრებ სავი თვის შემდეგ, არ ვიცი.

მწვრთნელებს „დეტროიტ პისტონს“ ხელთათმანებით იცვლის. ამ გუნდის ექსთაიერი მწვრთნელი ჯორჯ

ირვინი მეექვსეა, ვინც ბოლო ცხრა წლიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, „დეტროიტის“ ბოსებმა. „ძალიან გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ვფიქრობ, კლუბის განვითარებისთვის ეს აუცილებელი ნაბიჯია. დიდ პატივს ვცემ ჯორჯს და მინდა, უღრმესი მადლობა გადაუხადო იმ სამუშაოსთვის, რაც მან ამ სეზონში გაწია“ — თქვა, „დეტროიტის“ ყოფილმა მთამაშებმა, აწ კი კლუბის პრეზიდენტმა ჯო ლემარსმა. მისმა გადაწყვეტილებამ განაცვიფრა ირვინის შეგირდები, რომლებიც მასთან თავს მშვენივრად გრძობდნენ და მომავალი აღმავლობის გეგმებს ადგენდნენ. მაგრამ ფაქტია, 82 თამაშიდან 50-ის წაგება ირვინის ადგილის დაკარგვად დაუვდა. „დეტროიტის“ მთავარ მწვრთნელს მისი ასისტენტებიც მიპყვნენ, კლუბს ირვინის შემცვლელი ჯერ არ დაუსახელებია.

ასევე უცნობია, თუ ვინ დაიკავებს „კლივლენდ კავალიერის“ ექსთაიერი მწვრთნელის, რენდი უიტმენის მიერ განათავისუფლებულ ადგილს. თავისი ნებათ არც იგი წასულა, მას კარისკენ მას შემდეგ მიუთითეს, რაც „კლივლენდმა“ სეზონი 30 გამარჯვებით და 52 მარცხით დაასრულა. არადა, კავალიერიამ სეზონი როგორად დაიწყო, საწვინი 22 თამაშიდან 15 მოიგო, მაგრამ შემდეგ გუნდის ლიტველი ცენტრი ჟედრუნას ილაგუსკასი დაიმტვრა და დარჩენილი 60 თამაშიდან „კლივლენდმა“ ოდენ 15-ში მიაღწია წარმატებას.

ამ სამი კლუბისგან განსხვავებით, მწვრთნელს ემადლიერება „ბოსტონ სელტიქსი“. კლუბმა „აქელტის“ მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად დანიშნა ჯიმ ობრაიანი, რომელიც აქამდე გუნდს დროებით თავაჯობდა. ობრაიანი „აქელტის“ არმიას მას შემდეგ ჩაუდგა სათავეში, რაც საწვინი 34 თამაშიდან 22-ის წაგების გამო რიკ პიტინი დაითხოვეს. ობრაიანის თავაკობით „სელტიქსმა“ დარჩენილი 48 თამაშიდან 24 მოიგო და ზუსტად ამდენზე წააგო. როგორც ხედავთ, ეს საქმარისი აღმოჩნდა, მას მუდმივი სამუშაო ემოვნა.

მანან კობახიძე

NBA. პლეი ოფი. აბრევილი წრა (სამ მოგებად) ეროვნული დალასს ბებრული გუნდი ემარა

აკომოვალეთი	
24 აპრილი	
შილაფილი	1
ინდიანა	1

ფილადეფია ივერსონი (45 ქულა, 9 პასი), მიკი (19), ლინი (16), მუტონი (3 ქულა, 11 მოხსნა, 3 დაფარება)
ინდიანა: მილერი (41), როუზი (28), ონილი (11 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება)

„ინდიანა პეისერზმა“ ჯერ კიდევ სერის პირველ მატჩში დაამტკიცა, რომ პლეი ოფში უბრალო მონაწილეობას არ დაკმაყოფილება და თუმცა ძველი „ინდიანას“ ანგლილია, მაინც მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძობს. პირველი მატჩის გიმრმა, შეხვედრის დამთავრებამდე სამი წამით ადრე გამარჯვების მომტანი ბურთის ჩამგდება ინდიანელთა ბეგერმა სნაიპერმა რევი მილერმა ახლა სულ სასწაულები აკეთა, მაგრამ ამჯერად მოეცა რთი კოეჩემპიონებს. ფაქტობრივად „ფილადეფიამ“ იმარჯვა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

ორი კაცის დღელი იტაცებდა თვალს, კარიერის დასსე მყოფი მილერი გაფორქქენის ხანაში მყოფი ფილადეფიელთა ლიდერ ალენ აივერსონს შებობდა. პირველ ნახევარში სასწორი აშკარად მოხუცის მხარეს გადაიხარა. მილერმა ყველა გააბითურა, ვინც კი მისი მეურვეობა სცადა (მის შეჩერებას ცალცალკე ოთხი მასპინძელი, მათ შორის აივერსონიც ლამობდა) და პირველ 24 წუთში 33 ქულას მოუყარა თავი, მისმა „ინდიანამ“ კი უდაბაბუღეს ბრძოლაში წარმართული ტაიმი 59:61 დათმო.

ყოველივე ამას უკავლობდნენ არ ჩაუვლია. მეორე ნახევარში მილერს დალა დაუტყო და თავისიანებს რვა ქულა შეამეფა, „ინდიანას“ წინააღმდეგობაც მკვეთრად დაეცა. „ბეგევიით მოეცევილი. ჩვეულებრივ წინასწარ ძალებს არ ვფლანგავ, ბოლოს უფრო ავთომაშები-ბოლბე, მაგრამ დღეს რატომღაც პირიქით მოხდა“ — ამბობდა ნამატჩევეს გულგატეხილი მილერი. ყველაფერი მუხამე მეთხეღში გადაწყდა აივერსონი, თითქოს მილერის გაჩერებას უცდისო, ერთბაშად დატრიალდა და ამ თორმეტწუთეულში 19 ქულა მოხვეჭა, იმდენი, რამდენიც მთლიანად მეტოქე გუნდმა. სხვაობამაც თანდათან ზრდა იწყო. აივერსონმა თავისიანებს ბოლო მეთხეღში 13-ქულიანი უპირატესობა დაუბეჭა. ეს უკვე გამარჯვება იყო, მიდლილი „ინდიანამ“ ამ სხვაობის დამგარავი არ ჩანდა. ალენ აივერსონმა კი ჯამში 45 ქულა მოიხ-

ვეჭა. პლეი ოფების კარიერის რეკორდი დამყარა და ის ხალხიც გააზნა, ვინც მას კრიტიკის ქარცეცხლი დაატენა თავს სერიის პირველი თამაშის ჩაგების გამო. „მე ამ თამაშს, ალბათ, დიღხანს ვერ დავივწყებ. არ მინდოდა, ეს მატჩიც უფერულად ჩამეტარებინა. ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშა, ღმერთის მიერ ბოძებული საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინე“ — თქვა აივერსონმა.

იმ დღეს მას ყველა აქებდა, თვით მისი დამრიგებელი ლარი ბრაუნიც კი, რომელსაც თავნება შეეირღი ხშირად გაუკრიტიკებია, მართო თამაშობს და გუნდურ თამაშს კლავს. ახლა ბრაუნს აუვი არ დასცდენია, რადგან აივერსონმა არც გუნდური თამაში გადალო გვერდზე და აკი მიითვალა კიდევ ცხრა პასი. „ალენი დღეს ფენომენალური იყო — თქვა ბრაუნმა — ჩვენ უნდა ვინაზრით მხოლოდ, რომ ის ყოველ თამაშში ასეთი იყოს.“

რაც შეეხებათ ინდიანელებს, მათ გულის გატეხვა არ სჩვევიათ და ახლაც იმედიანად არიან, მომდევნო ორი თამაში ხომ მშობლიურ ინდიანაპოლისში უსწევთ. ამასთან ისინი სტატისტიკასაც მოიშველიებენ, რომელიც იმას მეტყველებს, რომ „ინდიანამ“ მოიგო ყველა სერია, რომელიც გამარჯვებით გახსნა და მრისხანე „ფილადეფიას“ მხედ დახვდებიან.

დასავალი	
ოუტა	2
დალასი	0

ოუტა 109:98 დალასი
ოუტა: მილერი (34), რასელი (24), სტოტონი (17 ქულა, 9 პასი)
დალასი: ფონი (32), ნემი (20), პოფარდი (17), ნოვიცევი (15)

„დალას მავერიქსს“ ბოლო ათი წელია, პლეი ოფი თვალთ არ უხანახვს, მაგრამ წლეულს ტეხასელთა გარშემო იმხელა აჟიოტაჟი ატყდა, ყველამ იფიქრა, მართლმ, გამოუცდელი არიან, მაგრამ პლეი ოფში დიდ ამბებს დაატრიალებენო. დასასრული ყველაფერს აქვს და ის ხალხი, ვინც „დალასისგან“ განსაკუთრებულს ელოდა, ბოლო-ბოლო „ოუტას“ წაქცევასაც არ გამოირცხვდა. ასე რომ, „ახალბედა“ „დალასს“ იქნებ გამოცდილ მეტოქეზე მეტ მანსესაც აძლევდნენ. ყველაფერი კი პირიქით მოხდა. ტეხასელებს ახალგაზრდულმა შემართებამ ვერაფერი ასკირა, მრავალნაად ოუტელებს კი გამოცდილებამ მეორე ეტაპისკენ გაუქველა გზა.

„ოუტა ჯაზის“ თამაშებს ჩვეულებ-

ბრივ ემოციები ახლავს და გამოჩაგლისი არც ეს სერია გახლავთ. პირველ შეხვედრაში მსაჯებმა ხუთჯერ ამოიღეს ყვითელი ბარათი... უკაცრავად, ხუთი ტექნიკური ჩამოურთვეს კალაბურთელებს. მეორე თამაშში კი უხეშობისთვის ოთხ კამათისთვის ორთვე გუნდის მთამაშეები ექსსვერ დააჯარიმეს. ის კი არა, მლეღვარება დარბაისელ ხალხსაც გადაელო და შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე „ოუტას“ მწვრთნელმა ჯერი სლოუნმა და „დალასის“ მილიარელმა მფლობელმა მარკ კუბანმა გემრიელად გამოლანძლეს ერთმანეთი და კიდევ „ჯაზის“ დარბაზ „დელტა სენტორში“ შეკრებილი ორი ათეული ათასი ქომაგი მთელ სადამოს განმავლობაში ენერგიულად უსტვენდა „დალასის“ გერმანელ თავდამსხმელს დიკ ნოვიცკის, რადგან შეხვედრამდე მას უთქვამს, სოლტ ლეიკ სიტი საზიზღარი ქალაქია, ამიტომ არ გაგზერდით აქ და პირველ და მეორე მატჩებს შორის დალასში გადავფრინდით.

ნერვებს თვად თამაშიც დაბავდა, რომელიც პირველი შეხვედრის თითქმის ზუსტი ასლი გამოდგა მასპინძლებმა „ოუტამ“ აქაც კინაღამ წააგო მოგებული თამაში, მაგრამ ბეგერმა „ჯაზიქნებმა“ — 39 წლის ჯონ სტოტონმა და 38-ს მიღწევულმა კარლ მელოუნმა კრიტიკულ ვითარებაში ნერვეების სიმტკიცე გამოიხინეს. „ოუტა ჯაზმა“ ამჯერადაც მეტოქეზე უკეთ დაიწყო, აჯობა მას პირველ სამ მეთხეღში და მესამე თორმეტწუთეულის შუაწელის ოცქულიანი უპირატესობასაც ფლობდა. „დალასი“ არ აპირებდა დახვებებს სტუმრებმა ბოლო მეთხეღის საწყისი ექვსი წუთი 15:6 მოიგეს და შეიღ ქულამდე დაუახლოვდნენ მეტოქეს, შემდეგ მანამდე უკმალო მყოფმა ნოვიცკიმ საქულიანიც ჩააგლო და ჯარიმაც და „დალასმა“ — 90:87. ისე ჩანდა, ჩამოიტოვებდა კიდევ შოკირებულ მასპინძლებს, მაგრამ აქ ივარგა სტოტონ-მელოუნის უბერებელმა დუეტმა, ჯამში ექვსი ქულა გააკეთა და როცა სტუმრებმა ორქულიანი უპასუხეს, მელოუნმა ორი საჯარიმო ჩააგლო, სტოტონმა კი ბრაიან რასელს ჩააგდებინა ორიანი და „ოუტაც“ გადაურჩა საფრთხეს, საფინალო სირენამდე ორჩხეგარი წუთით ადრე 100:89 დაწინაურდა, რაც უკვე გამარჯვებას ნიშნავდა.

„ოუტა ჯაზის“ ახლა დალასში გასართი ორი თამაშიდან ერთის მოგებაც ხელს აძლევს.

ინარალი ზირაშილი



ოუტა — დალასი. ჯონ სტოტონმა (შუაში) და კარლ მელოუნმა დალასელი სტივ ნემი ბურთის არ გააჟარეს

REUTERS სოლტ ლეიკ სიტინი



ჩემი საფეხები უკვე შირსუბა! როგორ შეაცვლევინა აბსუპრიაჲ კომისარს გადაწყვეტილება

— მოდი, მეტიხველს ახლოს გავეცნოთ, სად და როდის დაიწყე რაგბის თამაში?

— რაგბის თამაში 1991 წელს აკორებში დაიწყო. მაშინ ამ გუნდს ლევან მეულაძე წევრნიდა. იმავე წელს ჭაბუკთა ნაკრებში მიმიწვიეს. სამი წლის განმავლობაში ჭაბუკთა ნაკრების წევრი ვიყავი, 1994 წელს საფრანგეთში, ერთი წლის შემდეგ რუმინეთში, მერე კი იტალიაში გამართულ ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიოს თასზე ვითამაშე. რუმინეთში B ჯგუფის ჩემპიონები გავხდით. „ყოჩებიდან“ ასეუმი გადავედი, მაგრამ ეს გუნდი ერთი პირობა დაიშალა და ლაშა გუგუნიას მიწვევით „ყოჩებში“ ამოვყავი თავი, თუმცა მალევე თავდაკცვის სამინისტრომ არმიული კლუბი გვლაგ ალაგინა და ასეუმი დაგბრუნდა.

— ასეუმი საქმილ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თამაშობდი, გუნდის ლიდერიც იყავი. თვეთონ გუნდი კი ღირებულს ვერაფერს იწვედა. არადა, როგორც ვიცო, სხვა უფრო ძლიერი და ამბიციური ჩართული კლუბებიდან გჭონდა მიწვევები. რატომ ირჩევ ასეუმი დარჩენა?

— სიმათლე ვითხრა, სხვა გუნდში გადასვლა არ მინდოდა. „ყოჩებში“ რომ ჩავიბრუნებ, მაშინ სხვა სიტუაცია იყო. ასეუმი როგორც ვითხრა, დროებით დაიშალა და უთამაშებელი ხომ არ გავჩრდებოდით. თანაც „ყოჩებში“ იმ პირობით წავიქცე, რომ არმიული კლუბის აღდგენის შემთხვევაში უკან დავბრუნდებოდი. ისე მოხდა, ასეუმი იმ მორაგბებმა მოვიყვარე თავი, ვინც დაეკუმბოდა ერთად ვთამაშობდით და ერთმანეთთან განშორების პერსპექტივა არ გუხვებოდა. მიწვევები როგორ არ მოქონდა, მაგრამ შეგობრებთან დარჩენა ვარჩი.

— როი წლის წინ კი საფრანგეთში წახვედი.

— იქაური ჩემპიონატის „ნაციონალ 2“-ის „სენტ ლივრადში“ მივეწვიე სტაჟირებაზე ჩემთან ერთად უნივერსიტეტული სანდრო მჭვლედიშვილიც მიიწვიეს. საფრანგეთში ერთი წელი დავყავი და საქართველოში დაგბრუნდი.

— „სენტ ლივრადი“ რა დონის გუნდი იყო?

— დიდი არაფერი. „სენტ ლივრადი“ სამოყვარულო კლუბია, თუმცა ინფრასტრუქტურა ნამდვილად არ დაეწუნება. იქ გატარებული ერთი წელი ძალიან წამადაგ. ყველაანირი პირობები მოქონდა ნორმალური ვარჯიშისთვის: ტრენაჟორები, საცურაო აუზი, აღდგენითი პროცედურებისთვის საჭირო ინვენტარი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მორაგბეს მოსამზადებლად არის საჭირო.

— შენ როგორი პირობები შეგოქმნეს?

— ნორმალური. რადგან სტაჟირებაზე ვიყავი, ხელფასს არ მიხდიდნენ. ისე კი ბინაც მიქირავეს და კვების პრობლემაც მომიგვარეს. მერე ვთხოვე, სახარჯო ფული მაინც მოეცათ, რაზეც დამპყობდნენ. ყოველ მოგებულ მატჩზე მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ ჩემთვის სამყოფ თანხას მიხდიდნენ.

ქართულ რაგბის ნიჭიერ თაობას რა გამოულებს. ასე იყო ადრე, ასეა ახლაც და, დარწმუნებული ბრძანდებოდით, მომავალშიც ასე იქნება. მაგრამ მარტო ნიჭით და შრომით შორს რომ ვერ წახვალ ესეც ცნობილია. ბევრი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ნიჭიერი და პერსპექტიული მორაგბე ნასულა სპორტიდან უსახელოდ, რამდენმა ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები და მუდამ იმედისმომცემ მორაგბედ დარჩა. საქართველოს ეროვნული ნაკრების 24 წლის ნახევარმცველს, ირაკლი აბუსერიძეს მსგავსი პრობლემის ნამდვილად არ უნდა ეშინოდეს. „აბუმ“, როგორც მას მეგობრები და თანაგუნდელები უწოდებენ, ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მყარად მოიკიდა ფეხი და არ შეეცდებოდა თუ ვიტყვი, რომ დღეს ბორჯღალოსანთა შეუცვლელი მე-9 ნომერია. ტანმოირჩილი, ვერცხლისწყალური მოძრავი აბუსერიძე ნაკრების ის იშვიათი წევრია, ვინც ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობს, თუმცა არც ფრანგული ვითაუთ ყოფილა მისთვის უცხო. ჩვენი სტუმარი დღეს თბილისის „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავს და თავის ავანგარდზე გვესაუბრება.

— ჩემპიონატის მატჩებში თუ თამაშებში?

— დიას, ვითამაშე. თავიდან ვარჯიშებზე მაკვირდებოდნენ, მერე მწვრთნელიც შენღო და ძირითად შემადგენლობაში ჩამსვა.

— ესე იგი, თამაშის პრაქტიკის უჭიანილობას არ უჭირდი?

— ნამდვილად არა. ერთი წლის განმავლობაში თითზე ჩამოსათვლელი მატჩები თუ გამოვსრულე, მწვრთნელი კმაყოფილი იყო ჩემი თამაშით. ერთი ლელოც გავიბრუნე. მეც ვატყობდი, რომ დღითიდღე კუმატებდი, მაგრამ ერთმა წელმა გაიბრუნა და საქართველოში დაგბრუნდი.

— თუ მწვრთნელი შენით კმაყოფილი იყო, რატომ არ დაგიტოვებენ?

— იყო რაღაც მიზეზები, რის გამოც კონტრაქტი ვერ გავაფორმე ამ მიზეზების დაკონკრეტება არ მინდა.

— სხვა ფრანგული კლუბებიდან ხომ არ შეგნებიათ?

— „ელიტ 2“-ის „ფუშელი“ დამიკავშირდა, რომელშიც დავით ვართანიანი ირიცხებოდა. ურიტო ვარიანტი ნამდვილად არ იყო, მაგრამ მოლაპარაკებებმა აქაც უშედეგოდ ჩაიარა.

— ფინანსურ საკითხზე ვერ მორიგდით თუ?

— არა, ფინანსები არაფერ შუაშია. ვე არ იყო ჩემთვის მთავარი. სხვადასხვა მიზეზმა შემიშალა ხელი, რომელთა ჩამოება არ გვინდა.

— სამომავლოდ თუ გაქვს უცხოეთში თამაშის პერსპექტივა?

— ესპანეთთან მატჩის წინ ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა მითხრა, რამდენიმე სერიაზე უნდა გვეჩვენებოდა დანტერესდა შენითო. კონკრეტულად ვერ ვერაფერს გეტყვით იმ მიზეზით, რომ მათი ვინაობა მეც არ ვიცი. ყველაფერი ერთ თვეში გაირკვევა. ბათუმში საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა, კლოდ სორელიც იქ ჩამოვა და საბოლოო პასუხს მეტყვის. რა თქმა უნდა, ჩემთვისაც და ნაკრებისთვისაც უკეთესი იქნება, თუ კარიერას უცხოეთში გავაგრძელებ.

— „ნაციონალი 2“-ის და საქართველოს ჩემპიონატის დონეს თუ შეადარებ?

— დაბავლობით საქართველოს ჩემპიონატი სჯობს. „ნაციონალ 2“ მაინც დაბალი დონეა, საფრანგეთის ჩემპიონატის მეოთხე ლევაა. თუმცა პირობებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს უმაღლესი ლევა ახლოსაც ვერ მივა იქაურობასთან. თამაშის სტილიც განსხვავებულია. იქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უკანა ხაზის თამაშს, ძირითადი აქცენტი ბურთის ხელით გათამაშებაზე კეთდება, ტემპიც საკმაოდ მაღალია, ფიზიკურად კარგად უნდა იყო მომზადებული, ასეთ ტემპში რომ გაუძღოდ. სამაგიეროდ, შერჩიების ხაზი ნაღდად არ უვარგაო. ჩვენი უმაღლესი ლიგის წიბისმიერი გუნდის შერჩილება იმთა მორჩინალებს იოლად დაუბანის.

— წელან ფინანსური მომზადება ახსენე აქედან რომ წახვედი, ამ კომპონენტში მოდოკლებდი, საფრანგეთიდან დაბრუნებული კი ფინანსური კარგად გამოიყურებოდა.



სტუმარი მწვრთნელი ირაკლი აბუსერიძე

— საფრანგეთში მარტო ვარჯიშზე და თამაშზე ვფიქრობდი, სხვა საზრუნავი არ მოქონდა. ძალიან დიდ დროს ვუთმობდი ტრენაჟორებს. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ მართლა თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი, რამაც შედეგი გამოიღო. ტაქტიკურადაც გავიხარა და ფიზიკურადაც მოვლენიერი.

— ნაკრების მისურა უკვე თვეთმეტყვი მითრავ და სამი ლელოც გეიტახე?

— მომავალში უფრო მეტს გავაკეთებ. მთავარია, ფორმიდან ამოვკვარდე და ვარჯიში გავაგრძელო. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ვერ ახლავარდა ვარ, გამოცდილებაც მოვა და თამაშს ხარისხსაც გავაუმჯობესებ.

— წმირად გვინახავს მეტოქესთან მოხსნარბი ირაკლი აბუსერიძე, ერთმა გულშემატკვარებმა ისიც თქვა, ნამდვილი ჩხუბისთავიაო.

— ადრე მართლაც სწორად წყლის

თბილი და ვინებუბანი შევსწივს. ეს ჩემი ფეხებელი ხასიათიდან გამოქმდინარე ხდება. ძირითადად, ეროვნულ ჩემპიონატში მიწვევა შეხლა შემოსლა, თორემ ნაკრებში ამეცარი რამ არ გამიკეთებია. როდესაც მატჩს ვაგებდით, საკუთარ თავზე და შედეგით განაწყვნიებული მეტოქეზე ვიფრდი ვავრს. ახლა კი თავს ვაკონტროლებ და არც ნერვების მოთოკვა მიჭირს. კლოდ სორელი ყოველი მატჩის წინ გვავრთხილებს, რომ არ ვინებუბოთ. ჩვენც ვემორჩილებით მას და პროვოკაციებზე არ ვრეაგირებთ.

— შაქვებთან თუ გჭონია პრობლემები?

— არ მახსენდება. თუმცა ერთხელ იყო რაღაც მაგდაგვარი. მარშან „ერთი თასზე“ ესპანელებს სტუმრად ვითამაშებოდით. ერთ-ერთ ეპიზოდში ნერვებშიშოლიდმა, ბოლოში და უბისამართოდ გადავავრთხე. მატჩის შემდეგ რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა „აზა ქა-საშვილმა“ მითხრა, მატჩის კომისარი მსაჯვის შურაყნხოფისთვის დისკვალიფიკაციით გექურებაო. შევედი იმ კომისართან, ინგლისურად დავვლაპარაკე ავეუხსენი, რომ მსაჯვისთვის არაფერი მითქვამს და არც არაფერი მიკადრებია, უბრალოდ, კომისარია ვერ გაეთამაშეთ და ამაზე გაბრაზებულმა ეს ქესტი გავაკეთე კომისარმა სწორად გამოგო, ხელი ჩამომართვა და დისკვალიფიკაციასაც გადავურჩი.

— როგორც ვიცო, მოლბენაც გოყვარს?

— ზომიერების ფარგლებში. განსაკუთრებით მაშინ მიყვარს ქეფი, როდესაც საქართველოს ნაკრები იმარჯვებს. საფრანგეთში რომ ვიყავი, ახლომასლო მცხოვრებ ქართველ მორაგბებს ხშირად ვხვდებოდი, დღესასწაულებზე ერთად ვიკრიბებოდით და სასიამოვნო დროს ვატარებდით.

— მოდი, შენს დღეებანდელ კლუბზეც ვთქვათ და ამით დავისრულოთ. როგორ ფიქრობ, შეძლებს „ლოკომოტივი“ მარშანდელი ტრენინგის გამართებას?

— ამისათვის ყველაანირი პირობა არსებობს. ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავს. ჩემი აზრით, რაც მოსაგები იქნება, ყველაფერს მოვიკებთ.

ბაჩო სვანიძე



2001 წლის 17 მარტი, საქართველო — ესპანეთი 4:3:0. ირაკლი აბუსერიძე საქართველოს ნაკრების შორავ იერაშს იწყებს

SIX
მაშხი პრის ჩემპიონატი
დადგინდა!
მაშხი პრე 20 ოქტომბერს დასრულდება

მაშხი პრის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა, როგორც იქნა, დაადგინეს გამოტოვებული მატჩების გამართვის საბოლოო თარიღები. შეგახსენებთ, რომ ტურნირის სამი შეხვედრა (სამივე ირლანდიის მონაწილეობით) ბრიტანეთში მძინვარე თურქულის ეპიდემიის გამო გადაიდო.

22 სექტემბერს ირლანდია მარიულიდში ესტუმრება შოტლანდიას, 13 ოქტომბერს კარდიფში ეწვევა უელსს, ხოლო 20 ოქტომბერს დუბლინში უმასპინძლებს ინგლისს. შეგახსენებთ, რომ ირლანდიას უკვე დამარცხებული ჰყავს იტალია და საფრანგეთი. თუკი შოტლანდიასთან და უელსთან წარმატებას მიაღწევს, მაშინ სანეპიონო მატჩი 20 ოქტომბერს დუბლინში შედგება: ინგლისმა აქამდე გამართული ოთხივე შეხვედრა მოიგო.

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლოების, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

	ფურცელადის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	1 სავაჭრო ცენტრი
თბილისი	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	ნერეთლის გამზირი №11	
ქუთაისი	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა № 27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
ბარნაული	რუსთაველის ქუჩა №39	

ბათუმიშვილის წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცილოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელი“-ს. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოცემის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიცილოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (შეათვის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტი ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (პანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმონდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

- ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:
- 1 ფსონი დადებულია მატჩის დანყების შემდეგ
 - 2 შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
 - 3 შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
 - 4 მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული საში დღის ვადაში
 - 5 წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
 - 6 არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვიტარი
- ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩათვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.
- თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).
- ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა

მოხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვიტარი უნდა შეიცვას გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტორის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციასთან ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების ბუკეტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სასაცემი დღის. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღებს იმ ქვიტარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანასწავით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მსოფლიოს თასის მეორე მატაჰი (ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი)

ოსკარი ორი წლით გვიან

მსოფლიოს ექსპერიმენტალური, შვეიცარიულმა ოსკარ კამენზინმა კვირას ველოსამყაროს თავი შეახსენა და მსოფლიოს თასის მეორე მატაჰი, ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი მოიგო, კლასიკებად

წოდებულ რბოლებიდან ერთ-ერთი უპრესტიჟულესი. ლიეჟის მახლობლად, ანში მდებარე ფინიშის ხაზზე კამენზინმა ხუთკაციანი ჯგუფის სპრინტი მოიგო. ხუ-

თელმა კი პელოტონს ბოლო 6 კილომეტრზე, დღის უკანასკნელ დაბრკოლება სენ-ნიკოლას ადმარტზე გაასწრო. კამენზინის შეტევის კომპანიონები საკმაოდ ძლიერები ჰყავდა — დავიდ რებელინი, დავიდ ეჩებერია, ფრანსესკო კასარგანდე და მიკაელ ბოგერდი.

258-კილომეტრიანი გზა საკმაოდ რთული გასასვლელი იყო. თავიდანვე ბელგიელმა მარკ სტრეელმა შეუტია ეულად და მარტოობაში 162 კილომეტრიც იქროლა, მაგრამ მარტო კაცი ჰამაშიაც ბრალიაო, ხომ გაგვიგონიათ და სტრეელმა ბოლომდე ვერ გაძლო. მერე ზედინედ რამდენიმე იერიში განსორციულდა, რომელთაგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსი „ფასა ბორტოლოს“ დარბო ფრიგოს მიერ წამოწვეულია დაახლოებით 12-14 მრბოლი ცოტა ხნით დაშორდა პელოტონს, რომელმაც „მაჟის“ წინამძღოლობით გამოაცხადა დუნა. მაკელები იტალიის ჩემპიონ მიკელე ბარტოლისთვის ირჯებოდნენ, მაგრამ მსოფლიოს კლასიფიკაციის ყოველ პირველ ნომერს საუკეთესო წლები ალბათ უკვე უკან აქვს.

ფრიგომ და მისმა რამდენიმე შემორჩენილმა თანამგზავმა, რომელთა შორის სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი ფაზახი ალექსანდრ ვინოკუროვიც იყო, ზედმეტად იჩქარეს, ძალიან ადრე გაზარდეს ტემპი მაქსიმუმამდე, ვერ გაძლეს და ფინიშამდე 13 კილომეტრით ადრე თეთრი ბაირალიც გამოფინეს. მერე რედუტის ადმარტზე ბარტოლიმ ორჯერ სცადა შეტევა, მაგრამ ამაოდ.

ლიეჟის იტალიურ კვარტალ სენ ნიკოლას დაახლოებით 6-8 მრბოლი ერთდროულად მიუახლოვდა. კასარგანდესთვის იდეალური დრო იყო შესატევად. პოდა, ეჩებერიას პირველი მცდელობის შემდეგ, ყველაზე დახრილ ადგილას მსოფლიოს პირველი მრბოლიც შეტევაზე გადავიდა. თუმცა, როგორც მერე მისმა სპორტულმა დირექტორმა ჯანკარლო ფერუტიმ განაცხადა, კასარგანდეს ტაქტიკური შეც-

დომა დაუშვია. მას სინქარე პირველს არ უნდა გაეზარდა, ჯერ რომელიმე თანაგუნდელს უნდა მიჰყოლოდა მცირე ხნით, მერე კი მარტოს გაეგრძელებინა გზა. თუმცა ასე არ მოხდა და „ფასა ბორტოლოს“ ლიდერმა ადმარტის უმაღლეს ადგილს კიდევ ოთხ კაცთან ერთად უწია.

ბოლო 800 მეტრზე კასარგანდემ იგრძნო, რომ წასაგებად იყო განწირული და ბედი ერთხელაც სცადა, თუმცა კამენზინი მის ბორბალში ჩაუჯდა და სპრინტამდე ძალებიც დაზოგა. მერე კი ფიფილმა ფოსტალიონმა რებელინსაც აჯობა და ეჩებერიასაც. ხუთეულის დარჩენილ ორ წევრს თავი ღიდად ადარ გამოუღიათ.

პეილოზის მაგიერ

1998 წლის ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატი ლუცერნელმა ოსკარ კამენზინმა მოიგო. ცისარტყელას ფერებიანი მასურით შემოსილმა ოსკარმა პრესკონფერენციაზე თავის გეგმებზეც ისაუბრა, მომავალ სეზონში მთავარ მიზნად... ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის მოგება დავისახუო. მხოლოდ ორი წლის შემდეგ მიიღო გამარჯვებულად ამ კლასიკმა ოსკარი.

გაბი გურული

რბოლის შედეგები	
1. ოსკარ კამენზინი (შვეიცარია, ლამპრე)	6 სთ 42 წთ 40 წმ
2. დავიდ რებელინი (იტალია, ლიკიგა-სი)	
3. დავიდ ეჩებერია (ესპანეთი, ესკატელი)	
4. ფრანსესკო კასარგანდე (იტალია, ფასა ბორტოლო)	
5. მიკაელ ბოგერდი (პოლანდია, რაბო-ბანეი) ყველას იგივე დრო	
საერთო ჩათვლა	
1. რომანს ვაინსტინი (ლიტვა, დომო)	116 ქულა
2. ჯანლუკა ბორტოლომი (იტალია, ვინი კალდოროლა) III	
3. სერჟე ეჩებერია (პოლანდია, დომო) 101	
4. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 100	
5. ოსკარ კამენზინი (შვეიცარია, ლამპრე) 100	



ოსკარ კამენზინი

არაბონის ტური

პეპელა მთაშიც გაფრინდა

მეორეჯერ მოხეტიალე ველოსიპედისტმა პელოტონის ნაწილი გასულ კვირაში ესპანეთს ესტუმრა და ოთხშაბათიდან კვირის ჩათვლით „არაგონის ტურზე“ გამოვიდა. აქ ისეთი ცნობილი ხალხიც კი ჩამოვიდა, როგორებიც არიან ბოლო ორი „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონი, ამერიკელი ლენს ამსტრონგი, შარშანდელი „ეუელტას“ მომგები რობერტო ერასი, მსოფლიოს კლასიფიკაციის პირველი ნომრის, ფრანსესკოს არანაკლებ ძლიერი მამ სტეფანო კასარგანდე, მთელთა შორის განთქმული — ფერნანდო ესკარტინი და მანუელ ბელტრანი, ცნობილი პეპელა მარიო ჩიპოლინი. თუმცა ამათი უმრავლესობა არაგონში მხოლოდ ვარჯიშსა და მომავალი დიდი შეჯიბრებებისთვის მზადებას ვეგმავდა. მიუხედავად ამისა, ტურნირი მოსწონს საკმაოდ დასავლელ და საინტერესო გამოდგა.

ჩნდა. ფინიში სამოსათხილამურო კურორტ ვალდელინარესში იყო მოწყობილი, პირველი კატეგორიის სიბნელის მთაზე. აქ ჯერ ფაზახმა ალექსანდრ შეფერმა, მერე კი ესპანელმა ბინგენ ფერნანდესმა შეუტია. მწვერვალამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე მათ მრბოლითა პატარა ჯგუფი შეუერთდა, რომელშიც ერასი და ზუან კარლოს დომინგესიც იყვნენ. ბოლოს გამართულ სპრინტში ამ უკანასკნელმა ერასსა და შეფერს აჯობა და საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა.

შაბათს სეზარ გარსია კალვომ და კარლოს ტორენსმა 100 კილომეტრი იქროლეს პელოტონის წინ, მაგრამ ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე დანებდნენ. მერე კი ზუან ანტონიო თოიასმა იაქტივობა და დახარჩუნებზე 2 წამით ადრეც გადაკეთა ფინიშის ხაზი.

ბოლო ეტაპი პირველის მსგავსად, ანუ ჩიპოლინის გამარჯვებით დასრულდა. მისთვის ეს შეექცევა არაგონული ეტაპი იყო 1996 (2) და 1997 (2) წლების წარმატებების შემდეგ. ამ დღეს შეტევების გაუქმებლმა დომინგესმა გუნდმა „იბანესტომ“ აიღო თავის თავზე და კარგადც გაართვა თავი ამოცანას. პოდა, შედეგად ზუან კარლოსმა რომელიც ორი თვის წინ „ლინდა მაკარტინის“ დაშლის გამო უშუქვეარი იყო, კარიერაში პირველი სერიოზული ტურნირი მოიგო.

გაბი გურული

საბოლოო ჩათვლა	
1. ზუან კარლოს დომინგესი (ესპანეთი)	21 სთ 36 წთ 06 წმ
2. რობერტო ერასი (ესპანეთი) +6 წმ	
3. ალექსანდრ შეფერი (ესპანეთი) +8 წმ	
4. ლეონარდო პიე პოლი (იტალია) +16 წმ	
5. ბინგენ ფერნანდესი (ესპანეთი) +21 წმ	



ზუან კარლოს დომინგესი

ოლიმპიურ თემაზე მხოლოდ 2001 წლის კვირითვე სპორტულ-ლიტერატურული კონკურსის დეპუტატი

1. სეოკ-ის სპორტულ-ლიტერატურული კონკურსი (შემდგომში კონკურსი) არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მისი კულტურისა და ოლიმპიური განათლების კომისიის მიერ ორგანიზებული ანალოგიური კონკურსის შემადგენელი ნაწილი. იგი ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო კონკურსის პირობებს.

2. საქართველოში კონკურსი ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური აკადემიის მიერ ტარდება 2001 წლის 1 მაისიდან 15 ოქტომბრამდე, ორ ასაკობრივ ჯგუფში:

- 12 წლამდე ჩათვლით
- 13 წლიდან 18 წლამდე ჩათვლით

15 ოქტომბრის შემდგომ (საფოსტო ნიშნით ან პირადი წარდგინებით) მიღებული მასალა კონკურსზე არ დაიშვება.

3. საკონკურსო მასალაში (სიუჟეტი, მოთხრობა, ესსე, კომპოზიცია) გადმოცემული უნდა იყოს ოლიმპიური სულისკვეთება და ითვალისწინებდეს ოლიმპიურ ღირსებებს (ხუთი ნომინაცია):

- საკუთარი თავის წარმორჩენა
- სამართლიანი თამაში
- თავდადებით განცდილი მხიარულება
- სხვების პატივისცემა
- გონებასა და სხეულს შორის არსებული ბალანსი.

თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში უნდა წარმოადგინოთ ერთი თემა ქართულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.

წარმოდგენილი მასალის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მისი სიმცირე, სიზუსტე და კომპოზიციურობა.

4. თითოეულ თემაში (სულ ხუთი თემა-ნომინაცია) ჟიურის მიერ სეოკ-ის სიგელითა და სეოკ-ის ემბლემაში ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდება 3-3 საუკეთესო ნაწარმოები; პირველი პრიზის მფლობელი, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში, წარდგენილი იქნება საერთაშორისო კონკურსზე (საჭიროების შემთხვევაში მათ თარგმანს ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე უზრუნველყოფს სეოკ-ი).

გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „ოლიმპიელში“ ან გამოცემა ცალკე.

5. კონკურსში მონაწილე მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი ფორმით გვარის, სახელის, მისამართის, სასწავლებლის ან საცხოვრებელი ადგილის ჩვენებით, ტელეფონითა და ფოტოსურათით (6X9).

6. საერთაშორისო კონკურსის ვადების შეცვლის შემთხვევაში, მოცემულ დებულებაში შეტანილი ცვლილებები გამოქვეყნდება.

7. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს პირობების გაცნობა შეუძლიათ სეოკ-ში (თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი 65, ტელ.: 95 36 87. დ. კინ-ურაშვილი) და საქართველოს ოლიმპიურ აკადემიაში (სპორტის აკადემია, ი. ჭავჭავაძის 49 ა, ტელ.: 29 37 92. ა. ციბაძე).

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი



დარჩა ოქტაბრი



ტორონტოს მეიკარე კერტის ჯოზეფი

ადრინაველი

507 შვირიანი (1) — ტორონტო (7)
2000-01: 4:1-1
ბოლო სეზონი პლეი ოფი: 4:2 (2000)

თუ ტორონტო იოლად გაუძლეავდა ოტავას თასის პირველ რაუნდში, რაც ვერაჯერობით ალბათ მთავარი სენსაციაა, ნიუ ჯერსის გარკვეული სირთულეები შეექმნა კაროლინასთან ვიდეოში. სამი უპრობლემოდ მოგებული მატჩის შემდეგ „შემსახვენი“ ოდნავ დასვენდნენ და შედეგად ერთის ნაკლებად კიდევ სამი თამაშის ჩატარება დასჭირდა. ეს მათთვის ერთის მხრივ სასარგებლოცაა. ნიუ ჯერსი დარწმუნდა, რომ პლეი ოფში მაქსიმალური კონცენტრაცია საჭირო და ნებისმიერი მებრძოლი ანგარიშგასაწყვეი ძალაა.

ნიუ ჯერსი ამ სერიამ ფავორიტად აღიქმება. მით უმეტეს, რომ შარშანაც მოუვლო მებრძოლის პლეი ოფში. თანაც შედეგი — 4:2 ვერც კი გამოხატავს იმ უპირატესობას, რომელიც გუნდი ფლობდა. თუმცა ტორონტოც ხომ შეიცვალა შარშანდელთან შედარებით. რაც მთავარია, გერი რობერტსის, შინ კორსონის და აკი ბერგის სახით გუნდს ძალა და გამძლეობა შეემატა, რაც წინა წლის სერიამ საკმარისი არ აღმოჩნდა. „შემსახვენი“ სწორედ ფიზიკურ სიმძლავრესა და ძალიანი თამაშში აჯობებს მებრძოლებს. გარდა ამისა, გუნდი ნოემბერ-დეკემბერში კი არ ჩაღვა საუკეთესო ფორმაში, როგორც ტორონტოს თავიანთი აბობუნდნენ, არამედ აპრილ-მაისში. ოტავასთან სერიაში მას ვეღარ იცნობდით. და მინც, ნიუ ჯერსი უფრო დაბალანსებული, თანაბრად მოქმედი გუნდი ჩანს. ამაზე ისიც შეიძლება ითქვას, რომ პირველ რაუნდში საუკეთესო ბომბარდირი დაცვაში ფუნქციონირების მარჯვე შემსრულებელი ბობი პოლიკი (!) იყო, თუმცა გუნდის სხვა ხაზის ფორვარდებიც გამოირჩევიდნენ.

უმრავლესობის აზრით, ამ სერიის კვანძი ნიუ ჯერსის ლიდერ ელიამის სამეულისა და ტორონტოს მეიკარე კერტის ჯოზეფის დაპირისპირებაში გაიხსნება.

ბუფალო (5) — ატლანტა (6)
2000-01: 4:0-3
პლეი ოფში ერთმანეთს პირველად ხელებიან

ლიგის საუკეთესო თავდასხმა ლიგის საუკეთესო დაცვის წინააღმდეგ. ბუფალოს დაცვამ, დომინიკ პაშუკის წინამძღოლობით, ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა. თავად მეიკარე II-ჯერ შეინახა კარი მშრალად. პიტსბურგის თავდასხმაზე კი დაპარაკივად ზედმეტიცა, მაგრამ პლეი ოფში, როგორც ყოველთვის, ყველაფერი თავდადება დაყავა. პიტსბურგმა ვანინგტონთან სერიის ყველა მატჩში ფინიშილი, კონტრეტებით პოკი არჩია და რეგულარულ ჩემპიონატში უნაიოთ დაცვამ ჩინებულად გაართვა თავი მებრძოლი ტერიტორიულ უპირატესობას. თანაც არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ ლემი და კომპანია ძალიან ეხმარებოდნენ თავიანთ მცველებს. თავის მხრივ ბუფალომ ფილადელფიასთან ბოლო თამაშში შემტევი, შედეგიანი პოკი ითამაშა (8:0). ალბათ, პიტსბურგი არჩეულ ტაქტიკას აქაც გამოიყენებს. არც ბუფალოა ის გუნდი, თავიდანვე ღია ბრძოლა გამართოს. ამ სერიამ, ალბათ, ძალიან დაძაბული და ნაკლებშედეგიანი თამაშები იქნება. ხშირად ჩვენი საფეხბურთო ნაკრებთა თავიანთი უპირატესობის უსოფლენ საყვარელი პირველი გოლის ფაქტორიც წაერევა საქმეში.

და კიდევ, თუ პიტსბურგის მეორე სამეული, კოვალოვი — ლანგი — სტრაკა, ისევ ნაკლებად შედეგიანი იქნება (ვანინგტონთან პირველ 5 თამაშში ერთი გოლი), მარტო ლემიესა და იაგრს გაუჭირდება იმდენად გოლის გატანა, რამდენიც ბუფალოს უკარსკლავო, მაგრამ ძალიან დაბალანსებულ შეტევას შეუძლია.



ნიუ ჯერსის ლიდერი სკოტ სტივენსი

დასავალი

კოლორადო (1) — ლოს ანჯელისი (7)
2000-01: 2:0-2
ბოლო სეზონი პლეი ოფში პირველად ხელებიან.

გასწორებელი თამაშები? სწორედ ამ დღეს შედგა ამ სეზონში ყველაზე გახმაურებული ტრეინინგი, რომელიც ამ სერიას დამატებით ინტრიგას კმატებს. შეგახსენებთ, რომ მაშინ ლოს ანჯელისმა თავისი შრავალწლიანი კერა, მცველი რობ ბლეი კოლორადოში გაუშვა, რამაც ისედაც ვარსკვლავებით გადატენილი „ქველანი“ კიდევ უფრო მრისხანე გახადა. ამ ტრეინინგის ფასად „მეფეებს“ ფორვარდი ადამ დედიმარსი და მცველი აარონ მილერი მიიღო და, რაც მთავარია, სწორედ იმ დღის შემდეგ დაიწყო ლოსანჯელისელთა აღზრდა, რომელმაც ისინი პლეი ოფში მიიყვანა. ეს წინსვლა დღემდე გრძელდება, რადგან გუნდმა თავად დეტროიტის წაქცევა, ხოლო ამის მთავარი სულიწამღამელი სწორედ დედიმარსი გახდა.

კოლორადოს ამჯერად გაცილებით გაუჭირდება. ულდერეოდ დარჩენილ ვანკუვერთან სერიაში კოლორადომ უსუსტად იმდენი ძალა დახარჯა, რამდენიც საჭირო იყო, მაგრამ ამ სერიამ გუნდის სუსტი რეოლუციები გამოამჟღავნა. ჯერ ერთი, გოლები მხოლოდ ორ სამეულს გაჰქონდა. მეორეც — „ქველანის“ ერთობ უჭირდა, როცა მებრძოლები პრიმიტიული, მაგრამ ეფექტური კანადურ სისტემას მიმართავდნენ. განუწყვეტელი მოიერიშე ფორვარდების კარის საინჟინერიან განდევნა ერთობ უჭირდა. თუმცა იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ დეტროიტისგან განსხვავებით კოლორადოს ყველა ლიდერი ჯანმრთელად და თან საუკეთესო ფორმაშია, ხოლო როცა ჯო საკიკი, პეტერ ფორსბერგი და მათი პარტნიორები მადახე მოდიან, მათი შექმნება შეუძლებელია.

დალასი (3) — სენტ ლუისი (4)
2000-01: 4:0-2-1
ბოლო სეზონი პლეი ოფში 4:2 (1997)

ბოლო ორი სეზონია, დალასის მწვერთვით კენ პიკოკი სულ იმაზე ოცნებობს, პლეი ოფში სენტ ლუისის დაუბირისპირდეს. მისი აზრით, ეს სწორედ ის გუნდია, რომელიც მომავლის პოკის თამაშობს. მაგრამ ამასთანვე მან კარგად უწყის, თუ როგორ უნდა შეეძლოს „ბლეუზების“ შარშან მებრძოლებს გზები გაიყვარა და ეს იმიტომ მოხდა, რომ სენტ ლუისმა მოულოდნელად მარცხი იყენია სან ზოსესთან სერიამში. მით უფრო საინტერესოა, თუ როგორ წარმომართება ეს ორ თამაშშია წლებს. პირველ რაუნდში იმავე სან ზოსეს ძლიერ ტვირთს უმჯობესა ერთობ განუბრუნებელი სენტ ლუისისა და მის მეიკარე რომან ტურეკს. მათიალია, ჩემმა ამჯერადვე ცალკე შეცდომა დაუშვა, მაგრამ გადაწყვეტ მომენტში იფიქრება და თავდადებით თვისის ესეც კმარა. მას მერე, რაც რეგულარულ ჩემპიონატში შუაგულ გზაზე გამოაკლდნენ, მცველებმა — კრის პრონგერმა და ელ მაკინისამაც სრულად აღიღვივნენ ფიზიკური კონდიციები. და თუ კეიტ ტაკაუკი გაათავოთნიობიერებს, რომ შეტევებში პაერ ტარჯონზე ნაკლები როლი არ ეკისრება, სენტ ლუისის მართლაც დაეძაბება იმ გუნდს, რომლის წინაშე კენ პიკოკიც კი იხრის ქედს. თუმცა დალასიც ხომ ძალიან გამოწონილია და მრავალანაკადი გუნდია. იგი ურთულეს სიტუაციებშიც კი ინარჩუნებს სიმშვიდეს და აგრძელებს ერთხელ და სამუდამოდ არჩეული სისტემით თამაშს. ეს ყველაფერი ვდამინტონთან მოგებულმა უმძიმესმა სერიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. მაკი მოდიანაც ისე გამოიფურებოდა, როგორც თავის MVP-ს ტიტულის მამიებელს შეჰფერის. ალბათ, ჯერ ბრეტ პალსაც არ გაუტანია მთავარი გოლები. ვინაობით, მოუძებნის თუ არა სენტ ლუისი დალასის სუსტ წერტილს. შესაძლოა ამ სერიამ გადაწყვეტოს სიტუაცია რიცხვმრავლობის ბრიგადებისა თქვენ.

საფეხბურთო

საბურთაქო

ეს იყო ჰიუსტონი

ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მატჩმა კორტიდან მცირე ვერაზე გადაინაცვლა ამერიკულმა ტელეარხმა ABC-მ 1973 წელს ბილი ჯინ კინგსა და ბობი რიგზს შორის გამართული „სექსთა ბრძოლის“ შესახებ მხატვრული ფილმი გადაიღო.

ლეგენდარული კინგის როლის შესრულება ოსკაროსან კინოვარსკვლავ პოლი პანტერს ერგო, რომელიც ფილმ „ბიანინოდან“ გენსომებათ. გარეგნობით არცთუ მბრწყინავ ზოგბურთელს რომ დამსგავსებოდა, მსახიობს გრძელი თმების, ლურჯი ლინზებისა და სათვალის ტარება დასჭირდა. სამაგიეროდ, გრძელი ბაკებიდან და მახინჯი კბილებით რომ სილვერი შესანიშნავად მოერგო „არამხადა“ რიგზის როლს.

„როდესაც ეს მატჩი გაიმართა, 15 წლის ვიკა-ვი, ყურებად შეყვარებული ჩემს ფეხბურთელ ბობი რიგზს და ცეკვისა და თეატრის გარდა ბევრი არაფერი მაინტერესებდა, მაგრამ რიგზისა და კინგის შეხვედრას მაინც გულსიფანცქალით ველოდი. არა მგონია, მუშაობდ აღის საკრთო თავადგასაფლავების გარდა რომელიმე სპორტულ მოვლენას ასეთი ინტერესი გამოეწვია. მე ხუთი ძმა მყავდა და მთელი გულთი ვქმნაობდი ბილი ჯინს“ — იხსენებს პანტერი.

ჰიუსტონის „ასტროდოუს“ გამართულ შეხვედრას 30 500 ჰომადი დაესწრო, ტელევიზიით კი 50 მილიონი ამერიკელი ადევნებდა თვალს. კინგმა რიგზი 6:4, 6:3, 6:3 დაამარცხა და აშშ-ში ქალბის ემანსიპაციისა და უფლებებით ძლიერი სქესის წარმომადგენლებთან გათანაბრებაში დიდი წვლილი შეიტანა.

„ფსიქოლოგიურად საშინელი წნეხის ქვეშ ვიყავი. სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ წამებო, ჩვენს ტურს, ქალბის თავდაჯერებასა და IX უფლებას (კანონი, რომელმაც სკოლებში ბიჭებისა და გოგონების სპორტულ მომზადებაზე გამოყოფილი თანხები ერთმანეთს გაუთანაბრა) როგორ ვაგნებდი“ — ეს უკვე თავად კინგის სიტყვებია.

საქმეს ის ართულებდა, რომ სულ რამდენიმე თვით ადრე რიგზმა სარეკორდო, 24 დიდი სლე-მის ტიტული მფლობელი ავსტრალიელი მარგარეტ კორტი 6:1, 6:2 გაანადგურა და განაცხადა, ქალბი არაფრის მაქნისები არიანო. თუ 55 წლის, უიმპლიონისა და აშშ-ის დია პირველობის ყოფილი ჩემპიონი რიგზი მატჩის წინ ათასნაირ სარეკლამო აქტივებში მონაწილეობდა, კინგი რამდენიმე კვირის მანძილზე თავდადაკეული ვარჯიშობდა. შედეგად გაცილებით უკეთეს ფიზიკურ ფორმაში მყოფმა მშვენიერი სქესის წარმომადგენელმა მებრძოლი აქტი-იქტი სირბილით მალე გაასავათა და დამაჯერებლად დაამარცხა.

„მოგება ასე ძლიერ, ალბათ, არასოდეს მდომე-



ბილ ჯინ კინგს ფილმი მიუძღვნეს

ბია. ვიცოდი, რომ ამ შემთხვევაში ხალხს ქალბისა და გოგონების შესახებ წარმოდგენა შეეცვლებოდა. ვიცი, ჩემს კოლეგებს არ სჯებოდათ ჩემი წარმატების, სამაგიეროდ, ქუჩაში უამრავი ქალი მარტებდა და მეუბნებოდა, როგორ მქომაგობდა. ერთი დამპირდა, თუ მოიგებ, ბოსს მაშინვე ხელფასის მომატებს მოვინებოვო“.

მაშინ შეხვედრის ტრანსლირების უფლებაში ABC-მ 750 ათასი დოლარი გადაიხადა, კინგსა და 1995 წელს პროსტატის სიმსივნით გარდაცვლილი რიგზს კი მანამდე გაუგონარი თანხა — 150-150 ათასი მწვანე ერგო.

„აქ საქმე უკვე ჩოგბურთში აღარ იყო, ეს მატჩი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ჰგავდა და მსურებლებსაც სისხლი სწყუროდათ — მიანია პანტერს, რომელმაც ჩოგბურთის თამაში გადაღების დაწყებამდე ოთხთვიანი ვარჯიშის დროს ისწავლა — ბილი ჯინისთვის კორტზე გასვლა და ასპარეზობა წარმოუდგენლად დამთრეუნველი იქნებოდა. არ ვიცი, თავად თუ მეყოფოდა ამისთვის ძალა.“

იქედია, ფილმს — „როდესაც ბილი მიუვო ბობის“ — ჩვენც მალე ვინადავთ.

შენ გინდა ჩემი ფული?

თანამშაგმულე ტიმ პენმანის კვლად მწვრთნელს დაშორდა ინგლისის მეორე ჩოგანი გრეგ რუხეცკი. მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონი თავის მოძღვარ პატ კემს ფულის გამო წაეწვება.

„როდესაც დეკემბერში ერთად დავიწვეთ მუშაობა, მას შევთავაზე, კონტრაქტს მოვაცავოთ ხელიმეთი, მაგრამ უარი მითხრა, აქ ფული არაა მთავარი. შევთანხმდით, რომ საცდელად სამი თვის მანძილზე ვითანამშრომლებდით, ჰოდა, რამდენიმე დღის წინ კემმა პირობად წამოიხატა, კარიერის ბოლომდე საპროფიციოს 10 პროცენტი მესხადა მისთვის. ეს მოუღებელი წინადადებაა“ — განაცხადა მონტე კარლოში რუხეცკიმ, რომელმაც კემთან ერთად ფორფის დროს ერთი ტიტული მოიგო და ანდრე აგასი, გუსტავო კუერტენი და მარატ საფინი დაამარცხა.

რუხეცკის სიტყვებმა 1987 წლის უიმპლიონის ჩემპიონი ავსტრალიელი გაანაწყენა: „ბევრი მაფრთხილებდა კიდევ, რომ ასე მოხდებოდა. ფულის შესახებ საუბარი ჩვენს შორის უნდა დარჩენილიყო და მთელ მსოფლიოს არ უნდა გაეგო, 10 პროცენტს ბევრი ჩოგბურთელი უხდის თავის მწვრთნელს, აქ არაა პირობის ჩემთვის ფულის მოცემა, უბრალოდ, არ სურდა“.

სამაგიეროდ, რუხეცკის წინამძღოლობით გაანაწყენებული გაანაწყენებული კონტრაქტი ბიომეტრიკის ბრაიან ლანგეჯელთან და ფინშიშხალების ორ ავსტრალიელ გუნდს — სპორტული სწორედ კემმა ვააცნო. ისინი ტრავმებისაგან მიდრეკილების მქონე ინგლისელს საკუთარი ჯანმრთელის სასარგებლოდ მოიხმობნენ. ზინანის მიყენებით თამაშს ასწავლიან.

რაც შეეხება კემს, შარშან ასევე ნამეტნავად გაზრდილი მადის გამო ის თანამშაგმულე მარკ ფილიპუსისაგან დაითხოვა მწვრთნელის თანამდებობიდან.

რაისუნთქე, ამოისუნთქე!

სხალგაზრდა ოზ ვარსკვლავ ლეიტონ პიუიტს უახლოეს დღეებში საავადმყოფოში სერიოზული გამოკვლევები ელის — 20 წლის ჩოგბურთელი, აგერ უკვე რამდენიმე თვეა, სუნთქვა უჭირს. პიუიტის მამის, ვლინის თქმით, სწორედ ამ მიზეზით ვერ მიიღო მონაწილეობა მისმა ვაჟის ვილიამ ვასული კვირის მონტე კარლოს მასტერსის სერიის ტურნირზე: „მას ჯერაც აწუხებს სუნთქვის პრობლემა და გადაწყვიტა, მცირე შესვენება აიღოს. როგორც ჩანს, ლეიტონს ჯერ ყელი სტკივდება, ეს სხვა ორგანოსაც გადაეცემა და პარის ფილტვებისთვის მიწოდება ფერხდება“.

პიუიტს ამჯერად ბელგიელი ექიმები დაუსვა-მენ დიაგნოზა. ჩოგბურთელს ამოუცნობია დავა-ლება შარშან შემოდგომიდან მოყოლებული აწუხებს და არაერთი ქვეყნის ესკულაების მონღონების მიუხედავად, ბოლომდე ჯერაც ვერ მოიარჩინა. ტაბლეტებისა და სხვადასხვა თხევადი წამლების მიღების შემდეგ ავსტრალიელი დროებით კარგად გრძობს თავს, მაგრამ გადის ერთი-ორი კვირა და მდგომარეობა ისევ უარესდება.

ავთანდილ სვანიძე

თურქის მესხრამება გაეღება

სლოვაკურ ტრენინგში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. 24 აპრილს იქ პირველი გამოსარჩევი ამბავი მოხდა, როცა თურქმა ძალოსანმა მუთლუმ აკვრამი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

მას შემდეგ, რაც სიდნეის ოლიმპიადის ნაბიჯი სულეიმანოვლემ, იგივე „ჯიბის პერკულესმა“ ჩაავლო და კარიერა დაასრულა, მუთლუმ ნომერ პირველ თურქ ძალოსანად იქცა. სიდნეისში, სულეიმანოვლესავით ბულგარეთიდან გაქცეულმა მუთლუმ პროგრამა-მაქსიმუმში შეასრულა, მსოფლიოს რეკორდები დაამყარა 56 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ატაცში, აკვრასა და ჯამში, მერე კი თავდაბლა გაცხადა, უდიდესი მაინც სულეიმანოვლემ არის.

ცხადია, მუთლუმ ტრენინგში უპირველესი ფაქტორი იყო. ატაცი მან ურეკორდოდ მოიგო, მერე კი 168 კილოგრამში აკრა, რაც ნახევარი კილოთი სჭარბობდა სიდნეისში აკრულ სიმძიმეს. ჯამში მუთლუმ რეკორდამდე 2,5 კილოგრამი დააკლდა. თურქი ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო ეს რეკორდი მისთვის რიგით მე-19 იყო, რაც 27 წლის ასაკში გვარაინზე გვარაინს მიღწევია.

დავით გულუა



ძალოსან მუთლუმ სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ კარგ ფორმაშია

ჭაღრაპი

დოს პრეზანსის ტურნირი

აზმაიფარაშვილმა ბოსნიელი რუსი დაიბრძვა



ზურაბ აზმაიფარაშვილი

დოს პრეზანსის მე-16 კატეგორიის ტურნირზე მე-6 ტური ყველაზე კოლორიტული იყო, ზუთივე პარტია თეთრებმა მოიგეს, ხოლო ზურაბ აზმაიფარაშვილი თეთრებით თამაშობდა, ამიტომ წერილს დადებით ნოტაზე ვწერთ.

აზმაიფარაშვილი ბოსნიელ ივან სოკოლოვს ეთამაშა, რომელიც იმით კი არაა გამოჩენილი, რომ რუსი ემიგრანტია. სოკოლოვი ერთ-ერთია იმ თითებზე ჩამოსათვლელთაგან, რომელთაც

ბოლო წლებში კასპაროვისთვის პარტია მოუგიათ. ეს მოხდა სარაევოში, ორი წლის წინ. მერე სოკოლოვი დაიკარგა, მაგრამ ჭაღრაპის წრეში თავის წილ პატივს მუდამ სცემდნენ. ქართველმა მასთან შოტლანდიური პარტია გაითამაშა და უკვე მეათე სვლიდან დაუფაზე დიდი ჩხუბი ატყდა. მხარეებს მოკლე როკი გაეკეთებინათ და აზმაიფარაშვილმა შეტევა მეფის ფრთაზე მიმართა. იერიში მისხსნა ჩანდა, ამიტომ სოკოლოვმა მისი შეჩერება მანამ სცადა, სანამ თეთრი ფიგურები სინქარეს აკრეფდნენ და შავ მეფეს მაღვებდნენ. ბოსნიელის განაპირა შავმა პაიკმა კონტრიერიში დაიწყო, მაგრამ აზმაიფარაშვილმა მოქნილად გააწირა თავის პაიკი, იერიშს ძალა შეუნარჩუნა და მესამე პორიზონტალამდე ჩამოსული შავი პაიკი უფუნქციოდ დატოვა.


29-ე სვლაზე გაირკვა, რომ თეთრების შეტევა კუ, მხედარი და პაიკი წარმართავდნენ ძლიერი ზურგის თანხლებით. მათ უაღრესად შეზღუდეს სოკოლოვის დაცვის ხერხემალი ანუ ლახიერი და ბოსნიელმა იგრძნო, რომ საკაა მოუდავდნენ. უღონო გაბრძოლება იყო მისი კონტრშეტევა ცენტრიდან, რადგან აზმაიფარაშვილმა ჩირადაც არ ჩაავლო ხარისხის წაგება და ერთი კუც მიამუშავა თავის თავდასხმას. 32-ე სვლაზე სოკოლოვი საბოლოოდ დაიბნა და თავდაცვითი რესურსის ძიების ნაცვლად თავისი კუ ულოგიოდ შეაჯვრათა თეთრ ბანაკში, რა-

ზეც აზმაიფარაშვილმა ორიოდე ვეჯექტური გადაადგილებით უბასუხა და 35-ე სვლაზე შავი მეფე თეთრი ხროვის წინ სულ მარტო დარჩა. დივარაძე სოკოლოვის კაპიტულაციის მიზეზს კარგად აღწერს.

აზმაიფარაშვილმა ცხრილის შუაში გადაინაცვლა, თავში კი ორნი არიან: ესპანელი მიგელ ილესკასი, ვინც ტურნირზე კატასტროფულად მოთამაშე პოლონელს, მიხაილ კრასენკოვს მოუგო და რუსი ალექსანდრ დრევევი. მან უწინდელი ლიდერი, ებრაელი ილია სმირინი დაამარცხა.

დავით გულუა

ვითარება 6 ტურის შემდეგ
1-2. ილესკასი, დრევევი 4; 3-5. გურგენი, სმირინი, ალმაში 3,5; 6-7 აზმაიფარაშვილი, ვალეზო 3; 8. რაჯაბოვი 2,5; 9. სოკოლოვი 2; 10. კრასენკოვი 1



ხელუხართი

გაუთხ პეროლიზა

მოსდება სასწაული გარსელონაში?

მსაჯამის საკლუბო ზღვარული (ვაკეზხეა საუბარი) ევროპაში უმაღლეს დონეზე რომ დგას, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებამ კიდევ ერთხელ ცხადყო ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფინალში სწორედ ამ ქვეყნის წარმომადგენლები გავიდნენ — შარშანდელი გამარჯვებული „ბარსელონა“ და ევროპის საკლუბო ჩემპიონი „პორტლენდ“ სან ანტონიო.

ეს გუნდები მიმდინარე სეზონში სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ოქტომბერში ევროპის სუპერთასის გადამწყვეტ მატჩში „პორტლენდმა“ ადვილად დასძლია კატალონიელთა წინააღმდეგობა — 28:24. მომდევნო ორ თამაშში შიდაეპანურ სარბიულზე კი „ბარსელონა“ და ჯერ ერთნაირი პირველობის სტარტზე შინ დამაჯერებელი

რევანში აიღო — 29:23, ერთი თვის წინ კი თასის ფინალშიც გაიმარჯვა — 29:28.

ასე რომ, ლიგის ორი დასკვნითი შეხვედრის წინ ფსიქოლოგიური უპირატესობა ბარსელონელთა მხარეს იყო, თუმცა ამან მათ ვერაფრით უშველა — სტუმრად, პაპლონაში, სამარცხვინო მარცხი იქცნენ. „პორტლენდი“ ლიგაში ყველაზე ხშირია (მოთამაშეთა საშუალო ასაკი 32,5 წელია), „ბარსელონა“ სამი წლით უმცროსია. მიუხედავად ამისა, „ბებრებმა“ უსწრაფესი შეტევებით მეტოქის სანაქებო დაცვის თავზე აუხსნეს. განსაკუთრებით 31 წლის მატეო გარალდა აქტიურობდა. როგორც ყოველთვის, საიმედო თამაშით გამოირჩეოდნენ ლევიანები — ფრანგი მსოფლიოს ორჯერის ჩემპიონი, გარალდას კბილა ჯექსონ რინარდსო-

ნი, 33 წლის ბელარუსი მიხაილ იაკი-პოვიჩი და ლიგის უზუცესი წევრი, 41 წლის რუმინელი მეკარე ალექსანდრუ ბულიგანი. მართალია, ტაიმი მასპინძლებმა მხოლოდ ორი ბურთით მოიგეს (14:12), მაგრამ მათი უპირატესობა აშკარა იყო, რაც საბოლოო ანგარიშზეც აისახა — 30:24. გარალდამ რვა გოლი მიითვალა, „ბარსელონას“ რიგებში კი ხუთ-ხუთი ბურთით ყველაზე შედეგიანები ესპანეთის ნაკრების წევრები — დემეტრიო ლოზანო და რაფაელ გუინოსა იყვნენ.

„ბარსელონა“ პირველად აღმოჩნდა ასეთ მძიმე ვითარებაში — ამხელა სხვაობით თამაში აქამდე არ წავიო. შედეგს თუ არა კატალონიური კლუბი განმეორებით მატჩში სასწაულის მოხდენას, კვირას გამოჩნდება.

ბია ახალაძე

ბია კლოდის გუნდში გაცხადდა თამაშობენ —

გმუხანა მირაბ რატიოვილი.

სიცოცხლის ფასად რომ დაგვივადეს,

მსოფლიოს თასზე გავინც გავალთ

— გვარაშენებს ლეონიო, ანუ

მართული რაგბის გარსელონაში ლეონი ცაბაძე.

ეროვნულზე კი ვირტუალური ჰიბრიდობა

გაიბარია — ასე აფასებს ფიზიკურთვლთა ნაბრების

თამაშს სოლომონ გულისაშვილი.

გვრიც სხვა და გავილ

ოუბნის პლაკატი და სიხლუბი

ფასი მხოლოდ 1 ლარი

№3 (13) აპრილი 2001

საქართველო საქართველო

სარბიელი



ქიმიკარდოლოგი
ბია მაზაპრაშვილი

- სუ ჯოკ აპუხუნტურა
- სუ ჯოკ პოპოპატიო და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აბრთბირებულობა სპორტულ მედიცინაში)

გეოგრაფიის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უბასო კონსულტაციით

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109


იყიდება

სამოთხიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 113 კვ. მ.
აბაზანა-ტუალეტები რემონტით, ბაიროთ, ბარნოვის ქ.
№7111 სად. შესასყიდი კვალიდის ქუჩიდანაც

ბედ:
22-75-07. 69-52-58



REUTERS იოპანესტრეტიდან



REUTERS მონკოვიდან

საჭმელ-სასმელი ახალი ხელიდან

ერთ დროს მსოფლიოს ჩემპიონი კრივში, სიბერედე რინგზე მდგომი ჯორჯ ფორმენი რომ დიდად გასტრონომიული კაცია, მთელმა მსოფლიომ იცის. მისი ჯორჯის სახელობის შამპურგერს მთელი ამერიკა მიერთმევს და ამ კაცს ისეთივე ნიჭი გამოსჩენია მზარეულობისა, როგორც ერთ დროს ევანგელისტურ ქადაგობისა. გასულ უქმეებზე იოპანესტრეტი ჩასულ ჯორჯს ერთ იქაურ რესტორანში შეფ-მზარეულობაც გაუწევია. რა თქმა უნდა, არა მუქიად. მისი ჯორჯი იმითაც ხომ ცნობილია, რომ ყოველ საქმიდან ფულს გამოადნობს ხოლმე.

ბევრად უფრო სახალხო ალაგას ყოფილა გამყიდვლად ჰოკეის ერვრული ლიგის წლევეანდელი და შარშანდელი მთავარმეფოლე, რუსი პაველ ბურე, რომელიც მოსკოვის „მაკდონალდსის“ საქველმოქმედო აქციაში უშურველად ჩაბმულა.

კვლავ კვლავ ჯილდო


მომხმარებელი მომხმარებელია, რომ „ფილადელფია 76“-ის ცენტრი დიკემბერში მუტომბო სეზონის საუკეთესო დამცველად აღუდიარებიათ. ზაირულ გოლიათს „ინდიანასთან“ თამაშის წინ გადასცეს ნაჩვევი ჯილდო.



REUTERS ფილადელფიიდან


მტკინა და ნააბო

ბარსელონის საჩოგბურთო ტურნირზე შეწყვეტილა ესპანელ ალექს კორენასა და გერმანელ თლივერ გროსის ორთაბრძოლა. ამ უკანასკნელს კოჭი დაშავებია და თამაში გეღარ გაუგრძელებია: ნ:3 ნ:7 (ნ:8) 3:1 ესპანელის სასარგებლოდ.



REUTERS ბარსელონიდან

REUTERS ლოს ანჯელესიდან



ავბიორები თითქმის ნაპიდა



REUTERS ბუკარესტიდან

ნაპრმბს გამოეთხოვა უდიადესი რუმინელი ფეხბურთელი გეორგე პაჯი, სხვანაირად კარპატების მარადონა, სხვანაირად ლეგენდა, სხვანაირად ერთი ავი ბიჭი, რომელიც გენიალურად თამაშობს ფეხბურთს. პაჯის პატივსაცემად რუმინეთის ნაკრები მსოფლიოს ნაკრებს შეხვდა, მანამდე კი გეორგე პრეზიდენტმა იონ ილიესკუმ მიიღო კოტრინენის სასახლეში. რუმინელთა ოლიმპიური ლეგენდა, ტანმოვარჯიშე ნადია კომანეჩიცი იქა ყოფილა.

დამთავრდა

ასე მთავრდება სეზონი: „დეტროიტ რედ უინგზის“ მეკარე კრის ოსგუდი და მთელი გუნდიც ოვერტაიმში მარცხდებიან „ლოს ანჯელეს კინგზთან“ და პლეი ოფს ეთხოვებიან: ადამ დედმარშის გოლი „კინგზს“ სერიას აგებინებს — 4:2.

სარბიელი
საორტული გახეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
ლიტერატორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბერიძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კობახიძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია

გია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღონაშვილი, ბადრი კვიციანი სტილისტები მაია აბიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბულაძე, სვეტა ლევანო, მადლი დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

გამომცემის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე მანუჩაშვილის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი. 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge